17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 1

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 17 (86) 2 ივნისი 2009 ახალი მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

ლია წერილი საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს, საფრანგეთისა და ზოგიერთ სხვა ელჩს, ვინც საპროტესტო აქციის მონაწილეები კრიმინალებად შერაცხეს

2

8

მ ა ფ ა ლ უ

წიგნში წარმოჩენილი იქნება აღნიშნული ისტორიის წყაროები, რომლებიც საგნობრივად დაგვანახებენ **"მეგრული საკითხის"** მოგვარების როგორც სამართლიან, რაციონალურ, ისე ავტონომისტურ-სეპარატისტულ და მათ წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური მეცადინეობას.



ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილეცა პოეტის დაბადებიდან. იბი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

4

ლავრენტი ბერია — ქართული გენია



7

ვარდი და პური ჩემი გოგონასთვის

რაფიელ გელანტია

ისტორიული მასალები

5

სამეგრელოს საამაყო შვილები

კალისტრატე სალია

12

გაზეთი "ილორი" აქვეყნებს წერილების ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

9

6

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"

10

ედუარდ შევარდნაძე – ნიღბით და უნიღბოდ

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 2

ღია წერილი საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს, საფრანგეთისა და ზოგიერთ სხვა ელჩს, ვინც საპროტესტო აქციის მონაწილეები კრიმინალებად შერაცხეს

წერილს დიდი ეროვნული ტკივილი მაწერინებს, ტკივილი, რომელიც საფრანგეთის ელჩმა ქართველ ხალხს მიაყენა სატელევიზიო გამოსვლისას, ვინც ხალხმრავალი ანტისახელისუფლებო მიტინგი ანტიკონსტიტუციურად მოიხსენიეს, აქციაში მონაწილე ასიათასზე მეტი ადამიანი კი ასეულად მოეჩვენა. არითმეტიკული შეფასებისას აშკარად იგრძნობა ხელისუფლების კონტროლქვეშ არსებულ ტელეარხებზე გავლენა. მივმართავ იმ ელჩებსაც, ვინც ქალაქის პოლიციის შენობასთან მისული აქციის მონაწილეები კრიმინალებად მონათლა.

ბატონო ელჩებო! თქვენ მოღვაწეობა გიხდებათ უძველესი კულტურის ქვეყანაში, რომელიც **"ოქროს საწმისის"** მშობლად მოიხსენიება. უცხო წყაროებში შემონახულია ცნობები საქართველოში არსებული რიტორიკული კულტურის შესახებ, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა. ამ სკოლაში განათლებას იღებდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მოვლენილი ახალგაზრდები (ევგენიოსი, თემისტიოსი) და ადგილობრივი მკვიდრნი. ასევე შემონახულია ბერძნულ წყაროებში, თუ როგორ იბრძოდნენ ქართველები უსამართლობის წინააღმდეგ ბრძნული რიტორიკით, რამაც იმდროინდელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცის და დაცულია მსოფლიო რიტორიკულ სიტყვათა ფონდში. საკმარისია მოვიხსენიოთ სქოლასტიკოსი აგათიას სიტყვები ქართველი მეფის გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესზე ბრალმდებლის სახით მონაწილე ქართველებს უთქვამთ: **"რომელი კანონი თქვენი და ბარბაროსისა მოიწონებს ასეთ მდგომარეობას – ჯერ განაჩენი გამოუტანეთ ადამიანს, და მერე უყენებთ ბრალდებას".**

ისტორია მეორდება! ასე ხდება დღეს საქართველოში: ჯერ კაცს მოკლავენ და შემდეგ უთითხნიან ბრალდებას. აი, თუნდაც ახლახან, გენერალ კრიალაშვილის მკვლელობის ფაქტი, რომელიც თითქოს ურთიერთდაპირისპირებისას შემოაკვდათ პოლიციელებს და რამაც საზოგადოება აღაშფოთა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კრიალაშვილი, რომელმაც ალბათ ბევრი რამ იცოდა სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებათა თაობაზე, ცხვარიჭამიაში დააკავეს, თბილისში ჩამოიყვანეს და პოლიციელებმა, უიარაღო კაცი, მხეცურად მოკლეს მანქანაშივე. როგორც იტყვიან, თავიდან მოიშორეს არასასურველი მოწმე. ამ ეჭვს ადასტურებს ისიც, რომ მეორე დილასვე, ჯერ კენჭებით შემოხაზეს მკვლელობის ადგილი, შემდეგ კი, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ქალაქის მესვეურებმა გასისხლიანებულ ადგილს ასფალტის ფენა გადააფარეს.

საინტერესოა, რატომ არ მოახდინეთ რეაგირება ამ ამაზრზენ ფაქტზე?

ბატონო ელჩებო, ამგვარი წარსულის მქონე ქვეყნის ხალხს სხვაგვარი მიდგომა სჭირდება. ეჭვი მეპარება, რომ თქვენებური დამოკიდებულებით როდისმე გაიგებთ ქართველი ხალხის გულისტკივილს.

თქვენგან ხშირად გვესმის, ქვეყნის შინაურ საქმეებში არ ვერევითო, მაგრამ როდესაც ქვეყნის ხელისუფლების დაცვა გჭირდებათ, კარგადაც ერევით და **"ჭეშმარიტების მაძიებლადაც"** გვევლინებით. და თუ თქვენ მართლაც ქვეყანაზე შეგტკივათ გული, მაშინ პირველ რიგში უნდა გააცნობიეროთ, რამ განაპირობა ათეულ ათასობით მშვიდობიანი აქციები რესპუბლიკის ქალაქებსა და რეგიონებში, ყინვასა, ქარსა და წვიმაში.

არა და, მიზეზი ის არის, რომ საქართველოს თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში უნახავს და განუცდია ყველაფერი – ქართველთა სისხლით მორწყული ქვეყანა, ცეცხლი და მიწისძვრები, თავდასხმები და ტყვეობა, მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობა, მაგრამ, ისეთ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა საქართველო, როგორშიც იგი სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა ხროვამ ჩააყენა. უზომო ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ქვეყანაში კანონისა და კანიერების უგულვებელყოფით უთმობს ადგილს ძალადობას, ტირანიას, თემიდის მახვილს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იყენებს. ბოლო ჟამს იმდენად გათავხედდნენ, რომ ხალხი არარაობად ეჩვენებათ და ყოველი საშუალებებით იბრძვიან ადამიანთა მენტალური გათანაბრებისათვის – მოითხოვენ, რომ ყველამ ისე იაზროვნოს, როგორც ძალით გაპრეზიდენტებულ სააკაშვილსა და **"ნაციონალებს"** აძლევს ხელს. სხვაგვარადმოაზროვნეები ადმინისტრირებით ითრგუნებიან, მკაცრად ისჯება თავისუფალი აზრის გაჟღერება. სწორედ ძალადობის შედეგია ის, რომ **"პატარა"** საქართველოს დღეს 22 ათასი პატიმარი ჰყავს. მათი მეტი წილი ხომ სინდისის პატიმარია.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან სააკაშვილს ხალხისათვის სიმართლე არ უთქვამს. ნუთუ დღემდე ვერ ჩასწვდით სააკაშვილის ფსიქოლოგიას. ეს ის პიროვნებაა, რომელიც საკუთარ თავთან დარჩენილი, აჯობებს საკუთარი ჰალსტუხი ღეჭოს, ვიდრე სარკის წინ სიმართლე თქვას. რას იზამს, თუ განგებას ასეთ მზაკვრად და ცრუპენტელად გაუჩენია – ახლა გვიანაა რამეს შეცვლა. იგი ხალხის კეთილდღეობაზე კი არა, მუდამ მის გაბრიყვებაზე ფიქრობს და ამას სატანური მონდომებით აკეთებს: აცთუნოს, შეაშინოს, **"დააბოლოს"**, სულში ჩააფურთხოს, პროვოკაციაზე წამოაგოს, უნებლიე მცდარი ნაბიჯი გადაადგმევინოს, **"შემოტენილ"** სიცრუეზე ტაში აკვრევინოს... სწორედ ამ ცინიზმმა გამოიყვანა ხალხი ქუჩაში, რომელშიც პროტესტის გრძნობა დუღს. მას ასეთი ცხოვრება აღარ სურს და ქართველი ხალხიც იმ ბოროტებას ებრძვის, რაც სააკაშვილმა დაამკვიდრა ქვეყანაში. ხალხი ითხოვს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და ქვეყნის ავტორიტეტის აღდგენას, სააკაშვილის უპირობო გადადგომას კონსტიტუციის დაცვით, რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. საინტერესოა, საფრანგეთის ელჩი რას ხედავს აქ არაკონსტიტუციურს? ხალხს ხომ უფლება აქვს თავისი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ გამოხატოს პროტესტის გზით, თუ დაასკვნა, რომ იგი არასწორი გეზით მიდის. სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე არასწორი გზა აირჩია და დიქტატორად გახდომა მოისურვა.

ბატონო ელჩებო! როდესაც მშვიდობიანი აქციის მონაწილეები კრიმინალებად შერაცხეთ და ამით საკუთარ პოზიციას აფიქსირებთ, მეტი დაფიქრება გმართებთ, მეტი პროფესიონალიზმი, ღრმა ანალიზი, სიტუაციის შეგრძნება და, რაც მთავარია, ობიექტურობა.

კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ პროპაგანდიდან ანტიპროპაგანდამდე სულ ერთი ნაბიჯია. ვერ გავიგე, ამით რისი დამტკიცება გსურდათ. ქვეყანაში მძიმე პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ კრიზისზე თვალს ხუჭავთ და მთელი სიმძიმე შეურაცხმყოფელად გსურთ გადაიტანოთ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებზე. დაუფიქრებელი ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმიზნებლად სროლა – ამბობს სერვანტესი. მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ დაუფიქრებლად როდი ლაპარაკობთ, ხელისუფლების აზრს ახმოვანებთ, იმ ხელისუფლებისა, რომელმაც კარგა ხანია ხალხში ნდობა დაკარგა, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანაში დაგვეხმაროთ.

ის რაც მოხდა **"საზოგადოებრივი მაუწყებლის"** წინ გამართულ **"სირცხვილის დერეფანთან"** და ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინ, სპეცსამსახურების მიერ იყო პროვოცირებული. სამწუხარო ის იყო, რომ პროვოკაციის მონაწილედ იქცა მაუწყებლის ჟურნალისტი ავალიანი, რაც კარგად ჩანს ვიდეომასალაში.

ხელისუფლების ამ ხელწერას კარგა ხანია შეჩვეულები ვართ, და თუ მოვლენათა ობიექტურად შეფასების სურვილი მოგეძალებათ, გაიხსენეთ განმუხურის და პოლონეთის პრეზიდენტის ჩამოსვლის დროს ახალგორის მისადგომებთან პროვოცირებული სცენარი, დაზედაც მსოფლიო ახმაურდა. მთელი ქვეყანა იცინის მუხროვანის ამბოხზე, რომელიც ფაქტიურად პროვოკაცია იყო. რუსების მოხმობით სააკაშვილი მხოლოდ ქართველ ხალხს აშინებს. ეს არის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, რაც კარგად ჩანს ვიდეოკლიპში. ეს ყველაფერი მოჰყვა ოპოზიციური პარტიების განცხადებას ცენტრალური მაგისტრალების გადაკეტვის თაობაზე. სააკაშვილმა მაშინ განაცხადა, საფრთხე რუსეთიდან მოდისო, მაგრამ, რუსეთის მწვავე რეაქციის შემდეგ, როგორც მას სჩვევია, ყველაფერი გადათქვა. ხოლო თვით ინციდენტის ფაქტი მიუთითებს, რომ ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობაა. სახელმწიფომ დამაჯერებლად ვერ ახსნა, თუ რა იყო ამბოხის ჭეშმარიტი მიზანი. ხალხმა კარგად იცის, რომ მუხროვანის ამბოხის მიზეზი იყო ჯარისკაცების უარი მომიტინგეების დარბევაზე. ასეც იქნებოდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის განცხადების შემდეგ – ვინც საკუთარ ხალხზე იარაღს აღმართავს, ის სამშობლოს ვერ დაიცავსო. თუმცა, გიორგობის დღეს პოლიციელებმა მაინც დაარბიეს მათ შენობასთან პროტესტის გამოსახატად მისული მშვიდობიანი მომიტინგეები. პოლიციმაღალჩინოსნები წყლით სავსე პარკებს აყრიდნენ თავზე მომიტინგეებს, ესროდნენ პნევმატურ თოფებს, რამაც ჯანმრთელობა შეურყია უდანაშაულო ადამიანს. მაგრამ თქვენს **"მახვილ"** თვალს რატომღაც გამორჩა ეს უმსგავსოებები.

ბატონო ელჩებო! ბოდიშს გიხდით ამის შეხსენებისათვის. ინფორმაციის მიწოდებისას დოზირებაა საჭირო, მეტი ტაქტი, რადგან მხოლოდ ფაქტებით ბრავირება არაა საკმარისი. ამიტომ ვთვლით თქვენს გამონათქვამს მომიტინგეთა კრიმინალურ განწყობაზე არაკორექტულად, რამაც ძალზე გააღიზიანა ქართული საზოგადოება. მართლაც კრიმინალური ხელისუფლების მხარდაჭერით თქვენ დიდი ზიანი მიაყენეთ საკუთარ ავტორიტეტს. თქვენ საქართველოში ხალხთან ხართ მოვლენილი და არა ხელისუფლების კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან, რომელნიც ყოველგვარ დანაშაულზე მიდიან საკუთარი არაკაცობის მისაჩქმალად. თუ გიფიქრიათ ამ მოვალეობაზე, ან იმაზე, თუ ვინ დგას ათეულ ათასობით მომიტინგეთა ზურგს უკან?

მოგახსენებთ! ესენი არიან ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები, მსოფლიო დონის მეცნიერები, მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის ღვაწლმოსილი ადამიანები და სხვები, რომელთაც სახელი გაუთქვეს საქართველოს. ესენი არიან ქართველი დედები, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები, თავიანთ დიდ წინაპართა ღირსეული მემკვიდრეები.

თქვენ კი მათ კრიმინალები უწოდეთ.

გრცხვენოდეთ!

ქართველები უსამართლობას მსხვერპლად ეწირებოდნენ, მაგრამ შვილებს იმავე უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას ანდერძად უტოვებდნენ და ბრძოლის ველზე დაცემულ შვილებს იმის მიხედვით სტიროდნენ, თუ სად ჰქონდათ სასიკვდილო ჭრილობა, მკერდზე – ვაჟკაცურად, თუ ზურგზე – სამარცხვინოდ. წინაპართა ტრადიციისათვის ქართველს არასოდეს უღალატნია და ამის დასტური გახლდათ 6 მაისს პოლიციის შენობასთან მისული ქართველი ქალების გმირობა. თქვენ კი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ინფორმაციას ეყრდნობით, რომელთა იდეოლოგიური არსენალი თვალთმაქცობითა და დემაგოგიითაა გადაჭედილი, პოლიცია პოლიტიკურ ინსტრუმენტად არის ქცეული და მხოლოდ სააკაშვილის დიქტატურის განმტკიცების საქმეს ემსახურება. ყველა უბედურების სათავე ხელისუფლებაა.

აი, სად უნდა ეძებოთ კრიმინალი!

თქვენ კი რეალობის გრძნობა დაგიკარგავთ და კრიმინალად უსამართლობის წინააღმდეგ აღმსდგარ ხალხს მოიხსენიებთ!

გრცხვენოდეთ!

თქვენ დემოკრატიული სამყაროს ელჩები ხართ და საქართველოში დემოკრატიის პრინციპები უნდა დაიცვათ, და არა სახელისუფლებო კრიმინალიტეტი.

შეკითხვაზე, თუ როგორ ქვეყანას უნდა შეადარო საქართველო, პასუხის გასაცემად დაგვაკვალიანა ამერიკელი და ინგლისელი ექსპერტების მიერ შედგენილმა, ფაშიზმისაკენ სვლის 10-პუნქტიანმა ინსტრუქციამ, რომელიც გაზეთ **"გარდიანში"** იყო გამოქვეყნებული. კალამი არ გვემორჩილებოდა, როდესაც **"ლიტერატურულ საქართველოში"** გამოვაქვეყნეთ წერილი (2007 წლის 2 ნოემბერი) იმაზე, თუ რა ხდებოდა საქართველოში ფაშისტური რეჟიმის ასაღორძინებლად. თუ როგორ აითვისეს **"ნაციონალებმა"** გესტაპოს მუშაობის ფორმები და მეთოდები. მათი ურთიერთშედარებით დაინახავთ საბედისწერო მსგავსებას ფაშისტებისა და **"ნაციონალების"** მოქმედებას შორის.

ბატონო ელჩებო, თქვენ რას ურჩევდით საქართველოში მცხოვრებ ხალხთა სახალხო მოძრაობას, რომლებსაც საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი მართავს, და რომელსაც სურს ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა? თქვენი თავშეკავება გვაფიქრებინებს, რომ გსურთ მშვიდად უცქიროთ იმ დამანგრეველ პროცესებს, რასაც სააკაშვილი და მისი ხროვა საქართველოში ახორციელებს. სააკაშვილს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, თუ რა მძიმე დანაშაულები ჩაიდინა საქართველოს წინაშე, მაგრამ ქართველი ხალხი მას ამას აუცილებლად შეაგნებინებს. ჯერჯერობით კი სააკაშვილის საზრუნავს მხოლოდ პიარი და მსოფლიოს ქვეყნებში უსაგნო მოგზაურობა წარმოადგენს. მან აუცილებლად უნდა აგოს პასუხი 2008 წლის აგვისტოში საქართველოსათვის გამანადგურებელი უაზრო ომის გამართვაზე.

შეიძლება დანგრეული სახლების, სოფლების, ქალაქების ხელახლა აღდგენა, მაგრამ ვინ დაგვიბრუნებს დაღუპულ ჯარისკაცებს და დაკარგულ ტერიტორიებს?

სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობას გაუხსნა ცეცხლი, რითაც დაამტკიცა, რომ სამაჩაბლო საქართველოს ტერიტორია არ არისო. ეს კარგად გამოიყენა რუსეთმა და ადრე საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. განა სააკაშვილის უაზრო (შეიძლება შეგნებულად მტრულმა) მოქმედებამ არ გამოიწვია საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა?

სააკაშვილს დიდად რომ არ აწუხებს ქვეყნის ბედი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ როცა საქართველოში ომი მძვინვარებდა, რამდენიმე დღის შემდეგ იგი ესპანეთის ერთ-ერთ კურორტზე გაემგზავრა დასასვენებლად. რამდენიმე ხნის წინ საკუთარი თვითმფინავით ჩამოიყვანა გერმანელი მასაჟისტი ქალი, ახლა კი, როცა ქვეყანას პოლიტიკური კრიზისი აზანზარებს, იტალიაში გაემგზავრა ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად.

გიორგი (გონი) ცაავა,
საქართველოს ეროვნულ და სოციალურურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 3

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

კლიმენტი შელია

2005 წლის ნოემბერში ზუგდიდში ჩატარდა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მე-4 ყრილობა, სადაც განიხილეს სამეგრელოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი საკითხი. ყრილობას მწვავე რეაქცია მოჰყვა, განსაკუთრებით მეცნიერთა ერთი გავლენიანი ჯგუფის მხრიდან.... მათ მაშინვე მიმართეს ღია წერილით საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებას, საქართველოს მოსახლეობას საერთო სათაურით **"...ან ჭკვიანი მტერია, ან უგუნური მოყვარე"...** შევეცდები, წერილი ერთგვარად მაინც განვიხილო.

მე არა ვარ ფილოლოგი, მეგრულ და სვანურ ენებს რაიმე კვალიფიკაცია რომ მივანიჭო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ცნობილი ქართველი ენათმეცნიერების შეხედულებებიდან ზოგიერთი დასკვნის გამოტანა კი შემიძლია... მკითხველს მინდა შევახსენო **აკაკი წერეთლის** და გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერების **ა. შანიძის, ალ. ხახანაშვილის, ვ. თოფურიასა** და სხვათა სიტყვები.

ალ. ხახანაშვილი მოითხოვდა: დროა, ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდეს შესწავლა და გაგება მეგრულისა. სასარგებლოდ საქმედ თვლიდა მეგრულ ენაზე ანდაზების, პატარ-პატარა ლექსების და საუბრების თავმოყრას, რასაც ქართული ენისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდა...

კ. კაპანელს მოჰყავს პროფესორ ნიკო მარის სიტყვა, რომელშიც მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ **"ვეფხისტყაოსნის"** ზოგიერთ გაუგებარ სიტყვებს მეგრელები დღესაც ხმარობენო.

მედიაჰოლდინგ **"ჯორჯიან თაიმსის"** პრეზიდენტი **მალხაზ გულაშვილი** წერს: **"... თუ ქართული ენის გაუმჯობესება და გაჯანსაღება მოხდება მეგრული და სვანური სიტყვებით იმ სიტყვების ნაცვლად, რომლებიც წლების განმავლობაში შემოიჭრა სპარსულიდან, სომხურიდან, აზერბაიჯანულიდან, თურქულიდან, არაბულიდან, ინგლისურიდან, ეს პირიქით, კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქართული ენის მრავალფეროვნებას"...**

ქართული ენათმეცნიერების პატრიარქმა **აკ. შანიძემ** 50 წლის წინათ დაავალა თავის ასპირანტს – შემდეგ პროფესორს **ოთარ ქაჯაიას,** შეედგინა მეგრულ-ქართული ლექსიკონი. მან დიდი წარმატებით შეასრულა თავისი მასწავლებლის ანდერძი და შექმნა მეგრულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული, თითოეული წიგნი შეიცავს 600-700 გვერდს. სპეციალისტების აზრით, ლექსიკონი ქართველოლოგიური მეცნიერების საგანძურში საპატიო ადგილს დაიკავებს.

აი, რას სწერს ამ ლექსიკონის რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ სარჯველაძე: "ამ ნაკვეთით დასრულდა ოთარ ქაჯაიას კაპიტალური ნაშრომის პუბლიკაცია. ეს წიგნი ქართველოლოგიურ საუნჯეში საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს და მომავალი ეპოქის მკვლევარები მის ავტორს მუდამ მიაგებენ პატივს, რასაც იგი ღირსეულად იმსახურებს.... ამ წიგნის, აგრეთვე სვანური ლექსიკონის პუბლიკაცია იმის დასტურია, რომ ჩვენი საზოგადოება გულგრილი არ არის უმწერლობო ქართველური ენების ბედის მიმართ.... ყოველი კარგი ლექსიკონი ერის სიმდიდრეა. პატივი და ქება-დიდება მათ, ვინც ამ სიმდიდრის შექმნას მუხლჩაუხრელად ემსახურება"...**

გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ყრილობის მოთხოვნები ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი დასაცნობი კურსის შემოღება, თავისი შინაარსით, პატრიოტულ რჩევას ისახავს მიზნად. ამის გამო **ალექსანდრე ჭაჭია** მადლობის ღირსია და არა ქილიკის.

"...ან ჭკვიანი მტერია, ან უგნური მოყვარე"-ს ავტორები წერენ: **"ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი საკმარისი არგუმენტაციის გარეშე მიიჩნევს, რომ ძველთაგანვე არსებობდა მხოლოდ ოთხი ქართველური ენობრივი ერთეული (ქართული, ლაზური, მეგრული, სვანური); ლაზური, მეგრული და სვანური ლაზური, მეგრული, სვანური); ლაზური, მეგრული და სვანური დღეს უმწერლებო ენებადაა მიჩნეული, რაც მავანთ საშუალებას აძლევს უმწიგნობრო ხალხად ჩათვალონ მეგრელები, ლაზები, სვანები და იოვანე ლაზის მშობელი საზოგადოებისათვის დღეს დაიწყონ სახარების თარგმნა"**. ბატონებო, დღეს კი კუთხურ ენაკავებად მიგაჩნიათ მეგრული, სვანური, მესხური, ფხოური, იმერული და ა.შ.

...მიმართვის ავტორებს უნდა შევახსენოთ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ლაზური ენის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარის პროფესორ **გურამ კარტოზიას** წიგნის გარეკანი: **"ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში"**. წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი ბატონი თამაზ გამყრელიძე, ხოლო რეცენზენტები ასევე ცნობილი ენათმეცნიერები ბატონები **ალექსანდრე ონიანი და თედო უთურგაიძე.**

საკითხი ნათელია. თუ ლაზური ენა ენაა, მაშასადამე, მეგრულიც ენა ყოფილა. ამას ადასტურებს ისიც, რომ თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი ბატონი **თამაზ გამყრელიძე** იზიარებს ამ აზრს, თორემ წიგნის რედაქტორი არ იქნებოდა. ვფიქრობთ, მოტანილი ფაქტები საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია და არა დიალექტები. თუმცა ჭეშმარიტებას დამტკიცება რად სჭირდება! ცივილიზებული მსოფლიოს არც ერთ ენათმეცნიერს საკამათოდ არ მიაჩნია, რომ მეგრული ენა არის მსოფლიოს უძველესი, ერთ-ერთი პირველი ენა.

"...ან ჭკვიანი მტერია, ან უგუნური მოყვარე"-ს ავტორები მიუთითებენ: **"საქართველოში გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც "საქართველოს დაშლის მიზნით" ესწრაფვიან ქართველებისაგან განსხვავებული და ქართველებისგანვე დაჩაგრულ ეროვნებად წარმოადგინონ მეგრელები, სვანები, ლაზები, აჭარლები, მესხები... შესაბამისად, ცდილობენ კუთხურ მეტყველებაზე (ენა-კავების, კილოების) "გადათარგმნონ" სახარება და ამ გზით მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული კულტურის მქონე ქართველობის ამ განუყოფელ ნაწილებს ახლა შეუქმნან "სალიტერატურო ენები".**

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ მეგრელებსა და სვანებს არ უთქვამთ, არ მოუნდომებიათ (და ალბათ არც არასდროს არ უფიქრიათ) **"სალიტერატურო ენის", "სახელმწიფო ენის"** შექმნა.

1951 წელს, 1992-1993 წლებში, საერთოდ 1951 წლიდან 2003 წლამდე **"იჩაგრებოდნენ"** თუ არა მეგრელები, ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს.

პატივცემული ავტორები წერენ: **"...საფრთხე დღესაც ნათელია: ქართველური დიალექტების დამოუკიდებელ უმწერლობო ენებად გამოცხადებით... პროიმპერიული ძალების ბოლო ამგვარი გამოსვლა ყველამ ნახა 29 ნოემბერს ზუგდიდში, "სამეგრელოს" ე.წ. ყრილობაზე, სადაც კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ თანამედროვე საქართველოში იჩაგრება მეგრული ენა, რომ ქართული და მეგრული ენები ძმები არიან"**, და ა.შ.

პატივცემულო ბატონებო! თქვენ წერთ: **"29 ნოემბერს მასმედიამ გადასცა ორგანიზაცია "სამეგრელოს" მიერ ზუგდიდში გამართული ყრილობის ორგანიზატორის ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ იმის შესახებ, რომ საქართველოს სკოლებში ისწავლებოდეს მეგრული და სვანური ენები, რათა ამით დავიცვათ ენის უფლებები".** თქვენ ადანაშაულებთ არა მარტო **ალექსანდრე ჭაჭიას**, არამედ იმასაც, რომ **"ამ ენების უფლებების "დამცველად"** საქართველოს ომბუდსმენი მოგვევლინა, ეს ძალები ამჯერად მარტონი აღარ იქნებიანო... და ა.შ.

ბატონი **ა. ჭაჭია** ინტერვიუში – **"როგორ გინდათ დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?!"** ამბობს: **"ყრილობამ ქართულ სკოლებში, მეგრული, სვანური ენების ერთსემესტრიანი გასაცნობი კურსის შემოღება მოითხოვაო".**

უნდა ვიცოდეთ, რომ **გასაცნობისა** და **სწავლების** კურსს შორის დიდი სხვაობაა. სწავლება ნიშნავს, როგორც საგანი ისწავლებოდეს ერთი ან რამდენიმე წელი. ამით თქვენ ტენდენციურად აშუქებთ საკითხს. **ა. ჭაჭია** თავად კითხულობს: **"რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული სიმდიდრე, ვის ინტერესებში შედის ამ საუნჯის იგნორირება და აბუჩად აგდება?! დარწმუნებული ვარ, ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს არ შეიძლება შედიოდეს".**

ბატონებო! რას ხედავთ აქ დამანგრეველს? პირიქით, ერის ერთიანობისკენაა სწრაფვა....

თქვე ღირსეულო, კეთილშობილო ადამიანებო! მეგრული ენა ცარიზმის დროს, უმძიმესი რეაქციის პერიოდში ისწავლებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში (არ შეიძლება, ეს არ იცოდეთ?!). აი, ეს ადგილი (შევეცადე ზუსტად ყოფილიყო თარგმნილი და ციტატაც სწორად ამომეწერა, რადგან ქართული წყაროდან რომ მიგვეთითებინა, არ დაიჯერებდით):

"1907-1908 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-სპარსულ-ქართული განყოფილება სომხურ-ქართული ფილოლოგიით შეიცვალა. სომხური და ქართული სპეციალიზაცია შემდგომში კიდევ უფრო დანაწევრდა და შემოღებული იქნა ახალი კურსები – მეგრული ენა, მთის კილოები და სხვა" – წერენ რუსი მეცნიერები გ. გუკოვსკი, ს. კოლესნიკი, ვ. მავროდინი და ო. ვაინშტეინი.

მეგრული და სვანური ენები, როგორც გასაცნობი კურსი ერთ სემესტრში კი არ უნდა ისწავლებოდეს, არამედ, ჩემი აზრით, ორი წელი მაინც. რა დაშავდება, ქართველური ენები მთელმა საქართველომ რომ იცოდეს.

წერილის ხელმომწერებს მივმართავ თხოვნით, თქვან: მეგრელის და სვანის საუბრის რამდენ პროცენტს გაიგებენ და თუ გადმოაქართულებენ მეგრულ-სვანურ ტექსტებს? ეს ერთი. მეორე, როცა კახელი ამბობს, რომ კახელია, იმერელი – იმერელია, ქართლელი კი ქართლელი, ეს არ არის სეპარატიზმი, ხოლო თუ მეგრელი იტყვის, მეგრელი ვარო, ეს **"პირწავარდნილი სეპარატიზმია".**

ენათმეცნიერების შესავლის საკითხებში ნათქვამია: ქართული და მეგრული იმდენად არის დაცილებული ერთმანეთისაგან, რომ თუ მეგრელმა ქართული არ იცის, ან ქართველმა მეგრული, მაშინ ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ. თუმცა, ქართული, მეგრული, სვანური ქართველური ენებია.

...90-იანი წლების დასაწყისში, კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ, ისევ დაიწყო **"მეგრული სეპარატიზმის"** პროვოცირება. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ყველაფერი ეს ხდება იმ საქართველოს იმ კუთხის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტობრივად ქვეყნის სიმტკიცისა და ერთიანობის ერთ-ერთი პირველი ინიციატორი იყო.

შემთხვევით არ უთქვამს ქართველი ერის წმინდა მამას, სულმნათ ილია ჭავჭავაძეს: **"...ყოველთვის უამსა რღვევისას და გაწბილებისასა... მაცხოვარი ძალა იგი ქვეყნის მხსნელი სამეგრელოდან მომდინარეობდა, მტერთა მისთა დამორგუნველი სამეგრელო იყო. იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინათ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც"...**

ვიმეორებ, სამეგრელომ უდიდესი მიმტევებლობა გამოიჩინა, არ დაუკარგავს სიდინჯე და სულიერი სიმშვიდე. მაგრამ, როგორც აღინიშნა, არ შეიძლება ყველაფრის თვითდინებით მიშვება. საჭიროა, ყველასათვის კარგად ცნობილი, უკუღმართი წარსულის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, რომ მსგავსი არ განმეორდეს. ცნობილია, ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ბზარი გაუჩნდა, მისი გამთლიანებაა საჭირო. მაგრამ ვინმეს დაჭერა, პასუხისგებაში მიცემა არ არის აუცილებელი. ეს საკითხი არც უნდა დადგეს.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქართველი ხალხის ერთიანობისათვის. ეს არის ხსნისა და წინსვლის ერთადერთი სწორი გზა.

ნატო-ს აღმოსავლეთისკენ გაფართოება შეჩერდება

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ **ნატო**-ს სტაბილური გაფართოება აღმოსავლეთისკენ, რომელიც ცივი ომის დამთავრების მომენტიდან მიმდინარეობს, გარკვეული ხნით შეჩერდება და სამხედრო ბლოკი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე გადაიტანს ყურადღებას. კავშირმა, რომელშიც უკვე 28 სახელმწიფო შედის, დიდი ხანია, მნიშვნელოვან ფაქტორად აღიარა რუსეთის რწმენა, რომ **ნატო**-ს გაფართოება მისი სივრცის არამეგობრულ დაპყრობას ნიშნავს.

არცთუ დიდი ხნის წინათ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა** ხაზი გაუსვა რუსეთთან კავშირების მნიშვნელობას. **„მიუხედავად სირთულეებისა, ამის ალტერნატივას ვერ ვხედავ“,**– აღნიშნა მან. ამავე დროს, გფრ-ის საგარეო პოლიტიკური უწყების შეფმა მოსკოვს რეგიონული კონფლიქტების გადაჭრაში დახმარებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, რუსეთის განცხადება, რომ ნატო-ს გაფართოების პასუხად ის თავის არმიას ხელახლა შეაიარაღებს, უდროო დროს გაკეთდა და კრემლის რიტორიკას ფხიზლად თვალის დევნება სჭირდება.

ნატო-ს წინა სამიტის შემდეგ უკრაინისა და საქართველოს იმედები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობასთან დაკავშირებით საგრძნობლად შესუსტდა. ლონდონის სამიტზე ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერები არ მიუწვევიათ. საქმე ისიც გახლავთ, რომ ნატო-ს ბევრი ქვეყანა შეაშფოთა თბილისის მიერ სამხრეთ ოსეთში ძალის გამოუყენებლობის შესახებ გაფრთხილების უგულებელყოფამ.

უკმაყოფილებას იწვევს აგრეთვე ხელისუფლების კრიზისი უკრაინაში, სადაც, გამოკითხვების შედეგების თანახმად, მხოლოდ მოქალაქეთა უმცირესობა უჭერს მხარს ქვეყნის ნატო-ში შესვლას,– აღნიშნავს **„როიტერი“**

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 4

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

ასე მოვიქეცი მეც და ჩემი პასუხი სხვა ობიექტურ მკვლევართა თვალსაზრისის თანხვედრია: მას ჯერ ცილი დასწამეს, შემდეგ კი ქვეყნის ისტორიიდან ამოშალეს იმიტომ, რომ მისი ცილისმწამებლები და გამანადგურებლები იყვნენ დამნაშავეები!

ბერიას სახელმწიფოებრივი პოტენციალი, ყველა ამ ხრუშჩოვებსა და მალენკოვებთან შედარებით, იმდენად დიდი იყო, რომ დანაშაულის ფესვები ლაფში უნდა დაემალათ. ჰოდა, დამალეს კიდეც.

ახლა კი ცოდვა-მადლის გარკვევა ძნელია. თანაც, ბერიას შესახებ პირველი ცნობები მწირია, რაც გასაგებიცაა – არქივები ხომ ყრუდ დახურულია! თანაც, ამ 70 და მეტი წლის არქივებში მოიპოვება კი ყველა ფაქტი?

არქივების განადგურება ხრუშჩოვმა დაიწყო, რაც გორბაჩოვის ხანაშიც წარმატებით გაგრძელდა და სტრატეგიული ყალბი დოკუმენტებითაც გამდიდრდა. ელცინის ხანაზე უკვე აღარაფერს ვამბობ.

ამავე დროს, ბერიას ყველა დადებით დახასიათებასაც ვერ ირწმუნებ, განსაკუთრებით მაშინ ამას მისი ვაჟი სერგო აკეთებს გახმაურებულ წიგნში **„მამაჩემი ლავრენტი ბერია“**. წიგნში ბევრია აშკარად გამოგონებული ფაქტი: მაგალითად, სერგო ვერ დაესწრებოდა, როგორც თავად ირწმუნება, 1949 წელს ჩვენი ატომური პირმშოს გამოცდას. ფანტასტიკურია მისი მტკიცებაც, რომ 1939 წელს მამამისის აგარაკს სტუმრობდა და სერგოს ემუსაიფებოდა რობერტ ოპენგეიმერი. აშკარა გამონაგონია ასევე სერგოს მონათხრობი, მისი თანდასწრებით მამამისისა და გერმანული წყალქვეშა ნავის მეთაურის შეხვედრაზე, რაც თითქოსდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზაზე მოხდა ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. წყალქვეშა ნავის მეთაურს თითქოსდა უცნობებია ბერიასთვის იმის შესახებ, რომ ნაბრძანები ჰქონია საბჭოთა ხომალდების სრულად განადგურება.

სამაგიეროდ, დამაჯერებელია, როცა სერგო წერს, რომ მამამისი მოკრძალებული კაცი იყო ყოფა-ცხოვრებაში.

ასევე დასაჯერებელია, რომ შვილის თანდასწრებით პროფკავშირის ლიდერებს ბერია პირში ეძახდა უსაქმურებს. ის ხომ სტალინივით ვერ იტანდა უქნარებსა და მოლაყბეებს.

გამოჩენილი რუსი ნევროპათოლოგის, ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის, ნერვული სისტემის მორფოლოგისა და ფიზიოლოგის, ვლადიმირ მიხეილის ძე ბეხტერევის შვილიშვილი, აკადემიკოსი ბეხტერევა 80-იანი წლების ბოლოს აცხადებდა, რომ მისმა ბაბუამ გამოკვლევის ჩატარების შემდეგ სტალინს პარანოიკი უწოდა, რის გამოც მოწამლეს კიდეც. 1995 წელს კი, ყოველკვირეულ გამოცემა – **„არგუმენტი ი ფაქტი“**-ს 32-ე ნომერში აღიარა: **„სტალინის შეშლილად გამოცხადება ტენდენცია იყო, მათ შორის, ვითომდა ბაბუაჩემის დასკვნების გამოყენებით. თუმცა, ასეთი რამ ბაბუას არ უთქვამს... ჩემზე ზეწოლა მოახდინეს და იძულებული შევიქენი, დამემოწმებინა, თითქოსდა მართლაც ასე მოხდა.“**

ამ აღიარების შემდეგაც მშვიდად განაგრძო ცხოვრება აკადემიკოსმა ბეხტერევამ, იმის ნაცვლად, რომ ჩოქვით მიხოხებულიყო მავზოლეუმთან და სტალინის სამარესთან დანაშაული მოენანიებინა.

სამწუხაროდ, ყველაზე მონანიე ნაძირალაც ვერ მოიმოქმედებს ამას ლავრენტი ბერიას საფლავთან იმიტომ, რომ ეს საფლავი... არც არსებობს!

სამაგიეროდ, არსებობს დოკუმენტები, რომელთაგან ბევრს კრიტიკულად უნდა მიუდგე. არსებობს მემუარები, ისტორიული ნაშრომები და ა. შ. ის, რასაც კაცი ბერიასთან პირადი კონტაქტების საფუძველზე ჰყვება, უფრო სარწმუნოა, ოღონდ საქმის ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური მხარის გაცნობის შემდეგ; ხოლო თუ მავანი მესამე პირთან ბერიას ურთიერთობას ან მის ნათქვამს იხსენებს (როგორც, მაგალითად, გენერალი სუდოპლატოვი – ბერიას მდივნების მონათხრობს და ისიც უკვე საპყრობილეში გვერდიგვერდ ჯდომისას), ამის დაჯერება ალბათ არ ღირს.

ბერიას შესახებ უტყუარი დოკუმენტები კი მაინც არსებობს. უწინარეს ყოვლისა, აწ უკვე გამომზიურებულ **„ატომურ“** არქივებში.

არსებობს კიდევ ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მარტივი ლოგიკაც. დღეს საზოგადოებრივი ატმოსფერო ყალბი და უსამართლოა. შესაბამისად, თუ მისი შემოქმედნი ვინმეზე ან რაიმეზე აუგს ამბობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა.

სერგეი კრემლიოვი

ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თუ ბერიაზე ამბობენ, ინტრიგანი იყოო, ლოგიკური იქნებოდა, გვევარაუდა, რომ სინამდვილეში ძალზე კეთილშობილი პიროვნება გახლდათ.

თუ გვარწმუნებენ, კარიერისტი იყოო, ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მაღალი პოსტებისკენ არ მიისწრაფოდა, უბრალოდ, იმსახურებდა მათ.

თუ გვიმტკიცებენ, ავხორცი იყოო, ალბათ სწორი იქნებოდა, გვევარაუდა, რომ ასკეტი და პირად მოთხოვნებში ძალზე თავშეკავებული კაცი ყოფილა.

სინამდვილეში ასეც იყო, პატივცემულო მკითხველო, და შევეცდები, დაგარწმუნოთ ამაში.

ამიტომაც გეპატიჟებით ნახევარი საუკუნის წინანდელ მოსკოვში, მარტის იმ ღრუბლიან დღეს, როცა დედაქალაქი სტალინს ეთხოვებოდა...

1953 წლის 10 მარტს ისინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგნენ...

ლავრენტი ბერია, ნიკოლაი ბულგანინი, კლიმენტი ვოროშილოვი, ლაზარ კაგანოვიჩი, გიორგი მალენკოვი, ანასტას მიქოიანი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, ვიაჩესლავ მალიშევი, მიხაილ პერვუხინი, მაქსიმ საბუროვი, ნიკიტა ხრუშჩოვი.

ქვეყანა სტალინს კრძალავდა. ხალხი ტიროდა, მატარებლები ჩერდებოდნენ, ქარხნების საყვირები კიოდა, ქუხდა გამოსათხოვარი საარტილერიო სალუტები.

და ახლა სახელმწიფოს წარმოადგენდნენ ისინი – ლენინის მავზოლეუმის – ამიერიდან ლენინ-სტალინის მავზოლეუმი რომ დაერქმეოდა, – ტრიბუნაზე მდგარნი.

ისინი ახლა სახელმწიფოს სათავეშიც იდგნენ. კოლექტიურად.

მაგრამ თანასწორთა შორისაც ვიღაც მუდამ პირველია.

დამკრძალავ კომისიას ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა. კომისიის წევრები იყვნენ: ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი ლ. მ. კაგანოვიჩი, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, სამხედრო მინისტრი, მარშალი ა. მ. ვასილევსკი, ცკ-ის მდივანი ნ. მ ჰეგოვი, მოსკოვის სამხედრო ოლქის მეთაური, გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. არტემიევი, მოსკოვის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი.

ლიდერობაზე კომისიის წევრთაგან პრეტენზია არავის ჰქონდა. ფორმალურად სახელმწიფოს პირველი პირს შვერნიკსაც კი.

სხვა საქმეა მალენკოვი. ის კომისიაში არ შედიოდა, მაგრამ არათუ პირველობის პრეტენდენტი იყო, არამედ გარკვეულწილად მოიპოვა კიდეც ეს პოსტი, როცა სტალინის ნაცვლად სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა.

თუმცა, სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომები ხრუშჩოვს მიჰყავდა. ეს კი ცოტას არ ნიშნავდა.

სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბერია, რომელიც სტალინის სიკვდილამდე მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სპეციალურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა ატომურ და სარაკეტო საქმეში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ იქცა და შსს-დ გაერთიანებულ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ჩაუდგა სათავეში.

ამით მისი მოვალეობისა და ინტერესთა სფერო არ შეზღუდულა – ყოველმხრივ აქტიური იყო.

და ყველგან ნაყოფიერად მუშაობდა.

დიახ, ყოველმხრივ კომპეტენტური, ენერგიული, და ფორმალურადაც და არაფორმალურადაც ქვეყნის ლიდერის როლისთვის შესაფერისი კაცი სწორედაც რომ ის, ბერია გახლდათ!

საერთაშორისო ფონდ **„დემოკრატიის“ დოკუმენტთა კრებულის – „ლავრენტი ბერია. 1953“**-ის 407-ე გვერდზე წერია:

„თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 4 თებერვლის დადგენილებით, მის წევრებს შორის მოვალეობების გადანაწილების შესახებ, ბერიას დაევალა თვითმფრინავებისა და ძრავების წარმოებაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმირების საკითხების კონტროლი; გარდა ამისა, მან უნდა აკონტროლოს შეიარაღების, ყუმბარმტყორცნების, საბრძოლო მასალების, ტანკების წარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება; თვალყური ადევნოს სამი სახალხო კომიტეტის: ნავთობის, ქვანახშირის წარმოებისა და კავშირგაბმულობის მუშაობას.“

გარდა ამისა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, **„რკინიგზებზე შექმნილი რთული მდგომარეობისა და ამ მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებლობის გამო,“** კაგანოვიჩის, ბერიასა და მალენკოვის ხელმძღვანელობით, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც სრულად დაეკისრა პასუხისმგებლობა რკინიგზით ყველანაირი ტვირთის გადაზიდვაზე.

ამასთან, 1941 წლის ივლისში და მოგვიანებითაც ბერიამ დიდი ძალისხმევა მოანდომა სარეზერვო ფონდის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის არმიის ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი რაოდენობა შედიოდა.

1943 წლის 21 აგვისტოს ბერია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომიტეტის უმაღლეს ხელმძღვანელთა ჯგუფში შედიოდა, აღნიშნული კომიტეტი კი გერმანული ოკუპაციისგან გათავისუფლებულ რაიონებში მეურნეობების აღდგენას ხელმძღვანელობდა.

1944 წელს სტალინმა, მოლოტოვის ნაცვლად, ბერია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და ამავე კომიტეტის ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარედ დანიშნა. ბიურო **„ყველა მიმდინარე საკითხს“** განიხილავდა.

გარდა ამისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ბერია სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო. 1943 წლის თეირანის, 1945 წლის პოტსდამისა და ყირიმის (იალტის) კონფერენციებისას ბერიას ევალებოდა საბჭოთა დელეგაციისა და სხვა დელეგაციების (ყირიმის კონფერენციისას) უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ომის დროს ბერიაზე მეტად ქვეყანაში უმაღლესი პასუხისმგებლობა ერთადერთ ადამიანს – თავად სტალინს ეკისრებოდა.

ასე იყო ომის შემდგომაც. ბერიას ყველაზე რთული და ახალ-ახალი ამოცანების გადაჭრა უხდებოდა – ურანის პრობლემა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შემუშავების კონტროლი...

ასეთი ტვირთის ზიდვა მხოლოდ მაღალპროფესიულ, მრავალმხრივ ერუდირებულ, მყისიერი რეაქციისა და უდიდესი გამოცდილების მქონე მმართველს შეეძლო.

ბერია ყველა ამ თვისებას ფლობდა და ობიექტურად ერთი თავით მაღლა იდგა მათზე, ვინც მარტის იმ დღეს მასთან ერთად მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა. ბერიამ ეს კარგად იცოდა.

მაგრამ იცოდნენ სხვებმაც.

თუმცა, სურდათ კი ბერიას ლიდერად აღიარება? იდგნენ მარტის ცის ქვეშ და არ იცოდნენ, რა ეღონათ.

ან იქნებ იცოდნენ?

ვიღაცამ იცოდა.

ეს ვიღაცა კი უთუოდ ხრუშჩოვი იყო.

(გაგრძელება იქნება)

ციტატა-შეხსენება

“საქართველო არ აღორძინდება მანამ, სანამ მუქთახორა ფსიქოლოგიას ბოლო არ მოეღება. არც სსრკ, არც ნატო, არც აფრიკის კავშირი ჩვენ არ შეგვინახავს და ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე არ იზრუნებს. რუსეთთან ისევე, როგორც დასავლეთთან, ჩვენი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად ახალ პრინციპებს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება იმისაგან, რაც დღეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება. ჯერ კიდევ 1995 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მე ვთქვი, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა იმით კი არ უნდა იყოს შეწუხებული, პრორუსული თუ პროდასავლური პოლიტიკა გაატაროს, არამედ იმაზე იფიქროს, თუ როგორ გახადოს იგი პროქართული...”

(ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის ივნისი)

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 5

სამეგრელოს საამაყო შვილები

ჭეშმარიტი მამულიშვილობის წრფელ განცდაზე ტკივილიანი არაფერი გაუჩენია მამაღმერთს. მართლაც, ვისაც ეს უმაღიმესი და უნეტარესი ტვირთი კაცურკაცობის სინდისით უზიდავს, გუნდრუკის კმევა ნაკლებად რგებია. კიდევ მეტი, ეკლის გვირგვინით უვლია. წუთისოფლის ჩახლართული, ეშმასა და სატანას მიერ დაკბილული გზის ბოლომდე მხოლოდ წმინდა სულისანი, ნათელი გონების და მამაცი გულისანი გასულან. ბევრს, ძალზე ბევრს სამშობლოს სიყვარულით ტკბობა, მისთვის მაღალზნეობრივი სამსახური დედულ-მამულეთში როდი ჰრგებია მაცდურობის, ფლიდობის, შურის, ღალატის, მძულვარების ზეობის გამო და სამშობლოზე მლოცველი სული უცხო ცის ქვეშ გვემითა და ტანჯვით დაღვენთილა.

წმინდა სანთელი

კალისტრატეს დედას გაიანეს ერთბაშათ გაუქრა მშვენიერება, ძლიერება და ხალისი ცხოვრებისა...

დაგრეხილი მსხვილი ჯაჭვი კისერზე ჩამოიკიდა, ღვინოს ტუჩს არ აკარებდა...

– ვეღირსებოდე კალეს ჩამოსვლას და ისევ ის გაიანე გავხდები, გაიანე! – იტყოდა და უპე ცრემლით აევსებოდა...

– **ახავაი მარჯა**, ჩემი დღის მოსწრებას, – სიკვდილამდე ოხრავდა უბედური...

– მიწას არ მოვაყრი, დაბრუნდება და დედის ძვლებს მაინც ვანახებ, –თქვა ზოსიმემ და მეუღლე ღია სამარეს მიაბარა.

საფლავში კიბით ჩადიოდა, არავის იკარებდა. კუბოს თავს ახდიდა, სპირტით, ნელსაცხებლით ცხედარს **"განბანდა"**, სანთლებს აუნთებდა, მიწაზე ღვინოს მოასხურებდა...

ყოველი ჩასვლა ჯოჯოხეთში შესვლა იყო, მაგრამ სვეგამწარებული მოხუცი საკუთარ თავზე გამოტანილ საშინელ სასჯელს სიმწრით უჩუმრად იხდიდა, ბედს შეგუებული...

აღსასრული რომ დაუდგა, მეზობლები ერა მიქავა, კაი ბოხუა, ანდრო ბოხუა დაიბარა – ვიცი, მალე მოვკვდები. ქრისტიანულად დამმარხეთ, ცოცხლებისა და მკვდრების ტანჯვა უნდა გათავდეს...

...აქეთ ვაი, იქით ვიუ, ისე იყო...

* * *

მშობლებზე ფიქრში ათენ-აღამებდა კალე. მოგვიანებით ძმას ვალოდიას წერდა:

"ათი დღის წინ მივიღე დედ-მამის სურათი. გულითადი მადლობა ამ ძვირფასი ძღვენისათვის. სიცოცხლეში ჩემგან დარდის მეტი არაფერი უნახავთ. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯები ამის გამო. მე განვაგრძობ ჩემს მეცნიერულ მუშაობას. გამოვეცი ქართული ნომერი ჟურნალისა "ბედი ქართლისა", პირველ გვერდზე შემდეგი წარწერაა:

"ჩემს ძვირფას დედ-მამას გაუხარელი შვილისაგან.

ჩემს დედას – გაიანეს, რომელიც განშორებას სიკვდილამდე გლოვობდა.

ჩემს მამას – ზოსიმეს, გულდათუთქულს, ხსოვნისათვის მიეძღვნება ეს რვეული "ბედი ქართლისა".

სულ მცირედი მოვალეობა საყვარელი მშობლების მიმართ, რომელთაც ჩემგან არავითარი სიხარული უნახავთ".

კალისტრატე სალია

* * *

...ოლაკვეში მაფშალიას ხმაზე წამოდგებოდა. წყაროსთან ჩამოჯდებოდა და წიგნს ხარბად დაეწაფებოდა ვით წყურვილის მოსაკლავად. გვიან წინ თხებს გაიდენიდა და **"რიორერას"** სიმღერით სახლისაკენ გასწევდა...

1911 წლის ზამთარი იყო. თოვლის სიმაღლე სამ მეტრს აღწევდა. ზოსიმეს კალისტრატეც წაეყვანა ჩალის მოსატანად. ნამქერში ძლივს მომავალი წიგნს როდი იშორებდა. მივარდა დედა, გამოსტაცა წიგნი და პირდაპირ თავში ჩაარტყა.

– ქვეყანა იქცევა და შენ კი ამ წიგნის კითხვა დამიწყეო...

დედისაგან განაწყენებული კალისტრატე პროტესტის ნიშნად ამ დღეს უსადილოდ დარჩა...

ზოსიმემ, რომელსაც მეუღლე მეტსახელად ქეხოს ეძახდა, კარგად იცოდა სწავლის ფასი და შვილებს: გიორგის, კალისტრატეს, ვალოდიას, ივანეს ყოველნაირად უწყობდა ხელს სწავლაში. კალისტრატემ პირველად ჯგალის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ ზუგდიდში – შვიდწლედი.

გლეხებისათვის ერთადერთი გიმნაზია ხაშურში იყო და ზოსიმემ იქ წაიყვანა კალე.

...დაიწყო გამოცდები. ყოველდღიური შედეგები დერეფანში სპეციალურ დაფაზე იწერებოდა. კალისტრატეს სახელისა და გვარის გვერდით ორი ხუთიანი ჩამწკრივდა.

აბიტურიენტების მშობლები, გულშემატკივრები მსჯელობდნენ, კამათობდნენ.

– ერთის მეტი რომ არ მიიღონ ის, ერთი სალია იქნება. თავისი პასუხებით ისე განაცვიფრა გამომცდელები – ესმის ხმები ზოსიმეს და გული სიხარულით უცემს.

ერთმა ჩასუქებულმა ხელში კრიალოსნით ჩაუარა და ჩაილაპარაკა – **"ქვეყანაზე ცოდვა არ არის მოსული? აი, ამ მათხოვრის შვილს ჩარიცხავენ, ჩემი კი გარეთ დარჩებაო".**

– "გავყიდი ყველაფერს! საგვარეულოს შევაწუხებ და ამ ღიპიანი ვაჭრის შვილზე უკან არ დავაყენებ ჩემს შვილს", გადაწყვიტა ზოსიმემ, მაგრამ ნიჭიერმა შვილმა მამას საქმე სახათაბალოდ არ გაუხადა.

კალისტრატემ გიმნაზია 1918 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. ამავე წელს წალენჯიხაში ნაუ კალანდიას სახლში გახსნილ შვიდწლიან სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

კალისტრატე სკოლიდან თავისუფალ დროს უგასამრჯელოდ ამეცადინებდა გიმნაზიაში შემსვლელებს. ამასთან იგი სოფელში ყოველი სიახლის დანერგვის ინიციატორი იყო. მან ლარაში მეპაიეთა სახსრებით კოოპერატივი დაარსა. საახალწლო ვიზიტები შემოიღო. ენა ტკბილი ჰამო ხმითაც ქებული იყო. გულის დამატყვევებლად ასრულებდა: **"სალამი ჩიტუნებო", "შემომეჩვია მწარე ფიქრები", "მხოლოდ შენ ერთს".**

...კალისტრატეს კვლავ სწავლისაკენ ეჭირა გულისყური.

1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა... ბედუკუღმართობის ქარბორბალამ შორს გადახვეწა...

ნინო და კალისტრატე სალიების ღვაწლი დღეს აღიარებულია. ადრე კი კალისტრატეს სახელის ხსენებაც არაადამიანურ შიშს იწვევდა. მეორე მსოფლიო ომის დროს დესანტად მოელოდნენ და **"საზარბაზნე ხორცად"** ნიშანში აყვანილი ჰყავდათ კალეს და-ძმები, ახლობლები. მაგრამ, ამაოდ დაშვრნენ. ვერ შეიცნეს კალეს პიროვნებაც, რომ მისი მგზნებარე გული სამშობლოსათვის ძგერდა.

დიდხანს უცნობი იყო კალეს არსებობა და სრულიად მოულოდნელად და შემთხვევით ისევ **"აღმოაჩინა"** მამაჩემმა. ეს იყო 1961 წელს. დამსახურებული აგრონომი, ცნობილი ლოტბარი ვალოდია სალია რაიონული ანსამბლის საქმეზე თბილისში მიავლინეს. მოცლილობისას ბედად საჯარო ბიბლიოთეკაში შეევლო. დარბაზში მაგიდასთან მჯდომმა იგრძნო კაცის შემოსვლა. წიგნის კითხვას თავი ანება და მზერა ახალშემოსულს მიაპყრო, რომელმაც შეხედვისთანავე ჰკითხა: **"უკაცრავად, რა გვარისა ბრძანდებით?"**

– სალია ვარ – უპასუხა ვალოდიამ.

– კალისტრატე სალია თქვენი ხომ თქვენი ხომ არაფერია? მიგამსგავსეთ სახით.

– ძმაა, ცოცხალია, სადაა? – დააყარა შეკითხვები.

– მე აკაკი შანიძე გახლავართ, ახლა, სწორედ კალისტრატეს ჟურნალს **"ბედი ქართლისა"** ვკითხულობ. ცხოვრობს საფრანგეთში, მისი მისამართია: პარიზი, ბერლიოზის ქუჩა №8, მისწერე წერილი, როგორ გაახარებ, ნუ გეშინია, ის ისეთი კაცია, არ დაგიბარებენ.

და ვალოდიამაც იქვე დაწერა წერილი აცრემლებულმა და ათრთოლებულმა... ჯერი გაგზავნაზე მიდგა. მაგრამ ვეღარ გაბედა, ქუჩაში შემხვედრ ნაცნობს გადააწერინა, სხვისი კალიგრაფიით **"თავის დაზღვევისათვის"** (ძმის გამო ოციან წლებში მიდებული ჰქონდა მეტეხის ციხის **"სიამოვნება"**). პასუხმაც არ დაახანა. წერილი კი არა, თვითონ კალისტრატე ჩამოსული იყო, ისეთი სიხარული, მილოცვები იყო ნათესაობაში.

კალისტრატეს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ის, თუ ვისი გორისა იყო... ნათლად ახსოვდა მოკეთენი, მეგობრები, მეზობლები, ნამოწაფრები. (კალისტრატე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩარიცხვამდე წალენჯიხაში მასწავლებლობდა). წალენჯიხაში მისი სულიერი მეგობარი იყო ობუჯელი დანიელ ფიფია. (მამაჩემის და ფეოდოს თვალავაძის გადმოცემა) და ლარადან ხშირად ჩადიოდა ობუჯში. დანიელიც აკითხავდა წალენჯიხაში (სკოლაში), სახლში. წალენჯიხაში მათი თავშეყრის ადგილი იყო ნაუ კალანდაძის სახლში გახსნილი სკოლა და ცნობილი მეცენატის იაკობ შანავას მდიდარი ბიბლიოთეკა.

კალისტრატე თავის სიყვარულს მშობლიური კუთხისადმი ცხადად გამოხატავდა წერილებში, რომლებსაც ძმებს უგზავნიდა.

წალენჯიხაში მხედრიონელების მიერ ბინის გაქურდვისას ეს ძვირფასი განძიც დაკარგე. შემდეგ მივაკვლიე ნაწილს, რომელსაც **"აიას"** მკითხველებს ვთავაზობ მოწიწებით და კრძალვით, დიდი წინაპრებისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნით.

ოლეგ სალია

(გადმობეჭდილია ჟურნალიდან **"აია"**, 1996 წელი, №2).

კალისტრატე სალიას სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის დასტურად მოგვყავს მისი მხოლოდ ერთი წერილი, რომელიც მან თავის ძმას ვალოდიას მოსწერა 1972 წლის 13 მაისს:

"ძვირფასო ძმაო ვალოდია!

შენი წერილი მივიღე. მადლობა ღმერთს, ყველანი კარგად ყოფილხართ. მივიღე წიგნი "ანაკლიის ღამე", მაგრამ ჯერ არ წამოიკითხავს. ავტორი თუ ხმარობს მეგრულ სიტყვებს, ისე, როგორც კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა. მეგრული სიტყვა ამდიდრებს ქართულ სალიტერატურო ენას. "ანაკლიის ღამემ" გამახსენა. ანაკლიაში ნათესავები გვყავდა, ფილუ სალია, ერთხელ ვარ მასთან ნამყოფი. ვინ დარჩა, სად ცხოვრობენ.

არაფერი მესმის გიორგის, როგორ არიან კუკუსთან?

გკოცნით ყველას ნინო და მე.

შენი ძმა კალე."

ლეო ესაკია

ცნობილი ქართველი საბჭოთა კინორეჟისორი ლეო ესაკია დაიბადა 1899 წლის 27 თებერვალს სენაკის მაზრაში და იქვე დაამთავრა სასულიერო საშუალო სასწავლებელი. ლეო ესაკია უაღრესად ნიჭიერი იყო და ჯერ კიდევ ბავშვობიდან ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას – სწერდა ლექსებსა და ნოველებს, რომელსაც თავის თანატოლებს უკითხავდა ხოლმე. სენაკელი მეგობრები და უფროსი თაობის ადამიანები მას დიდ შემოქმედებით მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდა კაცი თბილისში ჩამოვიდა და ოჯახის ახლობლის რეკომენდაციით მუშაობა დაიწყო საქართველოს **"სახკინმრეწვში"** სცენარისტად. მან, როგორც შემოქმედმა იმთავითვე მიიპყრო კინოსტუდიის ხელმძღვანელობის ყურადღება და სათანადო მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ ლეო ესაკია კინორეჟისორის საპატიო პროფესიას აზიარეს. კომუნისტებს მხოლოდ უდავოდ ნიჭიერი ადამიანისათვის შეიძლებოდა მაშინ ენდოთ პროპაგანდის ერთ-ერთი მძლავრი იარაღის – კინემატოგრაფიის დისპეჩერის სადავე. 1928 წელს ლეო ესაკიამ გადაიღო ნოვატორული მხატვრული ფილმი **"ჰოლტზე"**, 1930 წელს გადაღებულმა ფილმმა **"ამერიკანკამ"** კი მთელი საბჭოთა კავშირი აალაპარაკა. ეს იყო მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე კინოსურათი ქართველ რევოლუციონერებზე სილიბისტრო თოდრიასა და უშანგი ჯაშზე, რომელთაც თბილისში ავლაბრის არალეგალური სტამბა გამართეს და პოლიციის თვალწინ ბეჭდავდნენ ცარიზმის საწინააღმდეგო პროკლამაციებს. ლეო ესაკიამ ერთგვარი პროტესტი გამოხატა ეთნოგრაფიულ-ორიენტალისტური კინემატოგრაფიის მიმართ და იღვწოდა რეალისტური მხატვრული მეთოდების განსამტკიცებლად. და ეს მაშინ, როცა კინოს **"მექად"** წოდებულ იტალიაში ჯერ კიდევ წარმოდგენა არ გააჩნდათ კინემატოგრაფში რეალისტურ მიმდინარეობაზე. ლეო ესაკიას მომდევნო წარმატებული ფილმი გახლდათ **"როტე ფანე"**, (1932), რომელშიც უკვე აღიარებული შემოქმედი საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტების ცხოვრებას აღწერდა. გერმანელმა კოლონისტებმა ოცდაათიან წლებში დიდი როლი ითამაშეს საქართველოს სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

შემდეგ ლეო ესაკიამ გადაიღო მხატვრული ფილმები **"ფრთოსანი მღებავი"** (1936), **"გაღმელი ქალიშვილი"** (1940), **"ბაში-აჩუკი"** (1956), **"ნინო"** (1959), **"გლახის ნაამბობი"** (1961) და **"აბესალომ და ეთერი"** (1966).

ლეო ესაკია იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. მის მიერ დიდი ხნის წინ შექმნილ კინოფილმებს დღესაც დაუფარავი ინტერესით უყურებენ კინოს მოყვარულები.

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 6

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

***1904** წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოედოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.*

ამაში ბევრად დიდი დანაშაული მიუძღვის მადალ სომხურ სამღვდელოებას. ეჩმიაძინის აკადემია და ნერსეს-სემინარია, სხვა სემინარიებიც, იმდენადაა გადაჭედილი ახალგაზრდებით, რომ მათი კედლები დახეთქვაზეა, სამღვდელოება კი მეტწილად შედგება უბრალო, უმეცარი გლეხებისაგან.

სომხური საეკლესიო სკოლის ჩვენი სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანის ისტორიას მე შევეხები მოკლედ. სამინისტროს შესაბამისმა ორგანოებმა აღმოაჩინეს, რომ სომხური საწმყსოს სკოლები, სომეხი ხალხის ყოველ ნაბიჯზე გამოვლენილი სურვილის საწინააღმდეგოდ, შეესწავლათ სახელმწიფოებრივი (ე.ი. რუსული) ენა, არა მხოლოდ ამუხრუჭებდნენ მოქალაქეობრიობის განვითარების ამ ბუნებრივ პროცესს, არამედ წარმოადგენდნენ თემობრივი ეროვნული განცალკევებულობის ყველაზე უხეში და ფანატიკური ფორმის მთესველებს.

აღარაფერს ვამბობ იმ სულელურ სახელმძღვანელოებზე, რომლებშიაც საუბარია ყბადაღებულ დიდ სომხეთზე და სომეხთა მსოფლიო მისიაზე – ცივილიზაცია შეიტანონ ყველა მეზობელ ქვეყანაში. ამ სკოლებში ავრცელებენ სპეციალურ რუქებსაც, რომლებშიც დიდი სომხეთი გადაჭიმულია ლამის ვორონეჟამდე, ხოლო დედაქალაქად გამოცხადებულია ტფილისი (ამგვარი წარმოსახვითი ქვეყნის რუქები, რომლებიც მე მინახავს კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველის კ.პ.იანკოვსკის კაბინეტში, ვრცელდებოდა არა მხოლოდ ძვირი ლითოგრაფიული სახით, არამედ, აბრეშუმზე ამოქარგულიც კი. ეს უკანასკნელი შესრულებულია ამ საქმისათვის სპეციალურად გახედნილი "მაზუთის დედოფლის" მიერ). აქვეა ყოველნაირი ემბლემები, რომლებიც იგივე ინტრიგებს ემსახურებიან და რომელთაც თავის დროზე მხარს უჭერდა ინგლისი, ახლა კი გერმანიზმის ერთ-ერთ საყვარელ პირმშოს წარმოადგენს, ვხმარობ სიტყვას "გერმანიზმი" და არა "გერმანიას", იმიტომ, რომ კავკასიაში ცხოვრობენ რუსეთის ქვეშემრდომი გერმანელები, ხშირად იმ მოსამსახურე კლასის წარმომადგენლები, რომლებიც სომხური ხრიკებისა და ოინების მხურვალე მხარდამჭერები და მფარველები არიან.

შესანიშნავმა ადგილობრივმა მოღვაწემ, კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილმა მზრუნველმა კ.პ.იანკოვსკიმ უშრეტი ენერგიის გამოყენებით მიაღწია განკარგულების გამოცემას, რომ ეს სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შეეყვანათ ისე, რომ მათ დაუტოვეს სომხური ენა და სომხური ღვთის კანონები. ***სომხეთის სამღვდელოება ამას არ დაეთანხმა და ნაჩქარევად დახურა სკოლების უმეტესობა***, არჩია რა, ჰყოლოდა ხალხი სრულ სიბნელესა და უმეცრებაში, ოღონდ თავი არ დაეღწიათ ხელოვნურად თავსმოხვეული განცალკევებულობისაგან. უბრალო სომეხი ხალხი "კვნესით გამოხატავდა" მწუხარებას, ამასთან, აგიტატორები ავრცელებდნენ ***წინასწარ შეთხზულ სიცრუეს,*** რომ თითქოს სკოლები დახურეს რუსეთის მთავრობის მესვეურებმა და არა სომხური თეოკრატიის აგენტებმა. ჩვენი მოჩვენებით-ლიბერალური პრესა, რომლის შემოქმედთა შორის მოიძებნებოდნენ ბაქოელ ნავთობმრეწველ ბობოლათა მიერ სუბსიდირებული ერთეულები, გაძლიერებულად ავრცელებდნენ იგივე სიცრუეს საქმეში ჩაუხედავ რუს მკითხველ საზოგადოებას შორის. მიუხედავად ამისა, კავკასიის სასწავლო ოლქმა მოახერხა მთელი რიგი სკოლების თავის შემადგენლობაში შეყვანა, რომლებიც ამჟამად წარმატებით საქმიანობენ ახალ საწყისებზე.

სკოლებიდან სასწავლო ოლქის მფლობელობაში შესაბამისად გადავიდა სასკოლო ქონებაც, ე.ი. ***სკოლების რჩენის წყაროც და ინვენტარიც,*** რომლის გადამალვა ან მითვისება ვერ მოასწრო სომხურმა სამღვდელოებამ. ტფილისში ქონების მეპატრონეთა ცვლის მთელი პროცესი მიმდინარეობდა დიდი სკანდალის ფონზე, მთელი მოსახლეობის თვალწინ, სადაც სომხურმა სკოლებმა ვერ ჰპოვეს ფართო მხარდაჭერა, რათა აღწერისათვის აერიდებინათ და გადაემალათ მიჩქმალული ქონება (ამ სფეროდან კარგი ფაქტებია აღწერილი "დანართებში" მოთავსებულ ბატონ რ.პ.ს სტატიაში "მოგნინის სასწავლებელი", რომელიც 1898 წელს გამოაქვეყნა გაზეთმა "კავკასიამ").

რაც შეეხება სახსრებს (უძრავი ქონება და კაპიტალი), რაც სომხური სკოლების რჩენის საფუძველს წარმოადგენდა, აქ ადგილობრივი საქმოსნების მოხერხებულობამ და მოდავეობის უნარმა სასწავლო ოლქი საკმაოდ დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა – და ღვთის წინაშე წარმოჩინდა ბევრი ისეთი სიურპრიზი, რომლის მოლოდინიც კავკასიაში ყოველთვის უნდა გვქონდეს, როცა საქმე ეხება ნებისმიერი სახის სომხურ ქონებას. უეჭველი სასკოლო ქონების მეტწილს ეკლესიისა და მონასტრების ეტიკეტები ჰქონდა დაკრული. წამოვიდა სასარჩელო განცხადებების ნიაღვარი, რომელთა ავტორები სომეხი ტერტერები იყვნენ, მხარს კი ყოფით პრობლემებში გაქნილი ებრაელური ადვოკატურები უჭერდნენ და ეს ადამიანები "დიდი სომხეთის" შვილთათვის დამახასიათებელი თავხედობით მოქმედებდნენ.

კავკასიაში სასამართლო პრაქტიკა ხშირად სწორედ სომხებს წყალობს: შეიძლება ისინი მართლაც ყოველთვის სუფთები და პატიოსნები იყვნენ, მაგრამ, შეიძლება ამას სხვა მიზეზიც აქვს, რომლის გამოკვლევაც მოგვცემდა უამრავ საინტერესო ფაქტს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ (თემირხანშურაში) ისიც კი სცადა, რომ უწყებით თავის კამერაში მოეწვია სასწავლო ოლქის მხცოვანი მზრუნველი. კავკასიის სასამართლო დაწესებულებამ, რომელთა გადაწყვეტილებითაც რამდენიმე წლის განმავლობაში სანქციონირებული იყო სომეხი მტაცებლების მიერ სახაზინო მიწების დაუფლება, ამ საკითხშიც არ უღალატეს საკუთარ თავს და ძალიან ბევრი სადავო საქმეები გადაწყვიტეს არა კავკასიის სასწავლო ოლქის სასარგებლოდ. რიგი სარჩელებისა შეჩერებულ იქნა, ვინაიდან სასკოლო ქონების ერთი დიდი საქმე სენატამდიც კი მივიდა. მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობდა, საერთოდ ექვემდებარებოდა თუ არა ამგვარი საქმეები ადმინისტრაციულ ან სასამართლო განხილვას. სენატმა ამ უკანასკნელს დაუჭირა მხარი და, ამჟამად, ყველაფერი საშინლად აირ-დაირია და კავკასიაში შეიქმნა რუსული საქმისა და პრესტიჟისადმი ფრიად არახელსაყრელი გარემო (1903 წლის 12 ივნისის კანონმა ყველა გაუგებრობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი).

ამ გაუგებრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კავკასიაში დასაქმებულ სხვადასხვა უწყებებს არ გააჩნიათ ერთიანი სამსახურეობრივი დამოკიდებულება მთლიანი ეროვნული პოლიტიკისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილებზე გაიმარჯვებდა ის საღი აზრი, რომ სახალხო სკოლის საკითხი უფრო ***სახელმწიფოებრივი*** მნიშვნელობისაა და არა ვიწრო სამოქალაქო მასშტაბების მქონე. სკოლისა და ეკლესიის ქონების განსაზღვრისას, სასწავლო უწყება მოიპოვებდა საჭირო მხარდაჭერას ყველა წვრილმანის დასაზუსტებლად, ამასთან, ამ უკანასკნელს აღარ მიენიჭებოდა გადაჭარბებული მნიშვნელობა გერგილიან-ფორმალური ნიშნების სახით. სწორედ ეს ქვემძრომობა აღუძრავდა ადგილობრივ ხელისუფლებას იმის სურვილს, გზა მიეცათ დიდი ხნის წინ მომწიფებული და დადადისად ქცეული იმ საკითხისათვის, რაც გახლავთ ***სომხური საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია.*** ამის გადაწყვეტით, მრავალი ,ღვრიე წყლის ტალღა, რომელიც ახლა გამუდმებით გადადის კავკასიელთა თავებზე, თავის კალაპოტს დაუბრუნდებოდა.

ადგილობრივი რუსი ადამიანები, რომლებიც თანამგრძნობი ყურადღებით აკვირდებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის ინტენსივობის ამაღლების პროცესებს, ამ ცენტრალური უწყების შემოქმედებითი ინიციატივისგან მოელიან კეთილმოქმედ ზეგავლენას რუსული საქმის მორყეულ საფუძველზე, რადგან ამ საქმის შესუსტებას სახეირო არაფერი მოაქვს ამ შორეული და სიცრუეში გახვეული მხარისათვის.

სომეხი ხალხის დიდი ნაწილი მოწყურებულია რუსული ენის შესწავლას, რომელიც მას გზას გაუხსნიდა საშოვარისა და ჭეშმარიტი კულტურისაკენ, თავკაცები კი წინაღობებს უქმნიან მათ, იმიტომ, რომ ეშინიათ არ დაჯკარგონ ამ ხალხზე გავლენა. თუ როგორია ეს გავლენა თვით მეორეხარისხოვან საკითხებშიც კი, შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ გაზეთი "მშაკი", მთელ სომხურ ბურჟუაზიასთან ერთად დრეიფუსის მხარე რომ დაიჭირა, გახარებული იყო იმ ამბით, რომ დრეიფუსის შეხედულებები გაავრცელა ელიზავეტპოლის ნახევრადველურ სომეხ მიწათმოქმედთა შორის. ერთ-ერთმა ბრტყელხელა შავგვრემანმა კი თავის საყვარელ კამეჩებს დრეიფუსის საქმის უახლოეს მონაწილეთა სახელები დაარქვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მხარეში, რომელიც სახელგანთქმული იყო კავკასიის არმიის გმირობებით, ერთადერთ შეუბღალავ და ნათელ წერტილად რომ აჩნდა მხარის რუსულ საქმეს, დრეიფუსის წინააღმდეგ წერა ცენზურის პირობებში უაღრესად ძნელი საქმე იყო, მოსომხო და სომხურ პრესაში ხომ მთელი ჰიმნები იბეჭდებოდა ამ "პირუკუღმა პატრიოტის" პატივსაცემად. თბილისელ სომეხ პოლიტიკანთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა, რომელთა რიცხვშიც შედიოდნენ ნახევრადგანათლებული კონკიაჟღარუნები, ემილ ზოლას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს რუსულ ენაზე:

"მრავალტანჯული პრომეთეს ქვეყნიდან მოწიწებით გიკრავთ თავს იმ ეკლიანი გვირგვინის ტარებისათვის, რაც თქვენმა სამშობლომ თქვენ გარგუნათ მთელი კაცობრიობის სამარცხვინოდ. ეკლიანი გვირგვინი ხომ მართლაც საუკეთესო საჩუქარია სამართლიანობისათვის მებრძოლისათვის".

ქარავანსარაელი ნოქრები, როგორც ჩანს, იგივე უფლებით მიიჩნევდნენ თავს პრომეთეს ტანჯვით ზეშთაგონებულებად, რა უფლებითაც გაზეთმა "ნოვოსტიმ" ქართული მართლმადიდებლობის უდიდესი ძეგლი – მცხეთა, და ვერცხლისფერი არაგვის ხეობა წარმოადგინა, როგორც "მგზნებარე სომხეთი". ამიერკავკასიის სომეხი დრეიფუსარების მსოფლმხედველობა, თავისი ტენდენციებით, ემთხვევა ზოგიერთი სამოქალაქო ჩინის შეხედულებას, და როცა ერთ-ერთ მათგანს, რუსეთის ქვეშემრდომ "გერმანელს", რომელიც, მონათვლის მიუხედავად, მაინც ებრაელურ მრწამსზე იდგა, ვკითხე, თუ რის საფუძველზე მირჩევს იგი, არ დავწერო დრეიფუსის საწინააღმდეგო სტატია.

მან მხრები აიწურა:

– მაპატიეთ, თავად იმპერატორმა აღიარა დრეიფუსი უდანაშაულოდ!

– რომელმა იმპერატორმა?

– ვილჰელმმა!

აქ კი, მიუხედავად ჩემი მშვიდი ხასიათისა, აშკარად განვრისხდი:

– მაპატიეთ, იგი შეიძლება თქვენი იმპერატორი იყოს, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში – ჩემი!

კიდევ ორიოდ სიტყვა სკოლების თაობაზე. სამწუხაროა, რომ ამ უწყებების, უფრო სწორად, მათი ქონების საკითხი წყდებოდა და ახლაც წყდება სასამართლო და არა ადმინისტრაციული წესით. სასამართლო ხელისუფლება შემოფარგლულია გარკვეული წესდებებით, და მას არა აქვს უფლება თავი აარიდოს განყენებულ ზნეობრივ საწყისებსა და ფორმებს, თუნდაც კეთილშობილური მიზნით, თუნდაც საერთო-სახელმწიფოებრივი საქმის საკეთილდღეოდ. ის, რაც ზოგჯერ პატრიოტული თვალსაზრისით ნაჩქარევად არის ხოლმე წამოყენებული დანაშაულად, კავკასიის სასამართლო ხელისუფლების მიერ მიკუთვნებული უნდა იყოს სხვა კატეგორიის მიზეზებისადმი. ***სასამართლო წესდებები და სხვა საერთო იმპერიული კანონები, უპირველეს ყოვლისა, არ მიესადაგებიან კავკასიის პირობებს.*** ასეთებია, მაგალითად, ხანდაზმულობის საკითხები, პროცესების შეჯიბრებითობა და, მოცემულ შემთხვევაში, სკოლების გადაცემა ეკლესიისგან სახელმწიფოზე. სომხების მიერ რამდენიმე სასამართლო პროცესის მოგებამ, სასკოლო ქონებასთან დაკავშირებით, მთელ კავკასიაში ***უაზრო აღტაცება გამოიწვია,*** სომეხ პოლიტიკანებს კი სულელური იმედები აღუძრა.

ახლა უფრო ახლოს გავეცნოთ სომეხ პოლიტიკანებს და მათ პროგრამებს. თავისთავად ცხადია, რომ რუსულად მოაზროვნე არცერთ ადამიანს ისინი ამ პროგრამას ზუსტი ფორმულირების სახით წასაკითხად არ მისცემენ; მაგრამ, საკმარისია, რომ რამდენიმე წელიწადი იცხოვრო ამ მხარეში, დააკვირდე მრავალ მოვლენას, რომ სომხური პროგრამა თავისთავად გაცხადდება უცილობლად უტყუარი სახით, ისე, როგორც ერთადერთი სწორი პასუხი ამოხსნილ განტოლებაში.

გაგრძელება იქნება

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდი და პური ჩემი გოგონასთვის

ცირა აფხაზეთში დაიბადა, 1992 წლის 24 აგვისტოს. სუსტი ჯანმრთელობა დაჭვა დაბადებიდან; ეტყობა, ომი ჯერ კიდევ გაუჩენელ თაობასაც ასახიჩრებს.

ცირას და მე უფრო დიდი უბედურება გვედო წინ, ვიდრე ამისი წარმოდგენა შემეძლო: ცირას დედა, ბავშვის წლისთავზე, დაბომბვაში მოჰყვა და ერთ კვირის თავზე გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.

ახლა დედაც ვიყავი და მამაც, კიდევ მოხალისე მებრძოლი, ამიტომაც ცირას ხანდახან სანგრებშიც უწევდა ყოფნა.

1994-1996 წლებში მე და ცირას თბილისში, ფარდალალა ბინაში, ძონძებში გახვეულებს გვიხდებოდა ღამისთევა, ჯერ იატაკზე, მერე ჯარისკაცულ ნარზე.

პურს ტალონით ვიღებდით, მაგრამ უსაშველო რიგებში მთელი დამე ყოფნა სიცოცხლეს მიწამლავდა. ღმერთმა დალოცა ჩვენი ხალხი, შვილებს ლუკმას ართმევდნენ ცირასთვის, ეფერებოდნენ, რათა უდედობა ნაკლებად ეგრძნო პატარას.

ვერ იქნა ცირას ფეხზე წამოდგომა: სუსტი კიდურები, კუნთების ატროფია, ზოგჯერ მთელი კვირა ლოგინად იყო დავარდნილი.

მასწავლებელიც მე ვიყავი, მამაც, ექიმიც და მზარეულიც. სამაგიეროდ ბედნიერიც – ცირა არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყო. არ დავტოვეთ წაუკითხავი წიგნი ჩვენ და მეზობელ კორპუსებში, შემდეგ ქალაქის ჩაბნელებულ ბიბლიოთეკებსაც დავრიეთ ხელი. იგი ისრუტავდა ყველაფერს, რასაც მოისმენდა, ნახავდა, თვალს მოჰკრავდა. აფხაზეთზე მან ყველაფერი ისწავლა, რაზედაც ხელი მიგვიწვდებოდა, რასაც იქიდან ჩამოსულები ამბობდნენ.

აფხაზეთთან დაკავშირებით საკმაოდ მდიდარ მასალას მოვუყარეთ თავი. ნაჩუქარი შავ-თეთრი **"რეკორდის"** ეკრანმა იგი ბავშვისთვის შეუფერებელ პოლიტიკოსად აქცია.

"ვარდების რევოლუცია" მისი სულის ზეიმი გახდა. ყავარჯნებით მივხოხდებოდით პარლამენტის წინ და დილიდან დაღამებამდე, ქარსა და წვიმაში იქაურობას არ ვშორდებოდით.

ორი თუ სამი წითელი ვარდი ვუყიდე რუსთაველის პროსპექტზე: მისი თვალები, სახე ლამის პირველად ვიხილე ბედნიერი, აალებული, გაბრწყინებული. საამური დღეები იყო: ასფალტზე დაყრილი, ფეხებით გასრესილი ვარდების კონებით ვბრუნდებოდით ბინაში.

კედლები გამხმარი ვარდებით და აფხაზეთის პეიზაჟებით მოვქარგეთ. ყოველივე ამან ცირა ისე გაიტაცა, რომ ერთგვარი შიშიც დამეუფლა.

22-23 ნოემბერს პროსპექტზე გავათიეთ ღამე, მისი მართვა შეუძლებელი იყო.

გამარჯვების საყოველთაო ზეიმში ვერ მიიღო მონაწილეობა. ტემპერატურამ აუწია, ოფლში ცურავდა, ლოგინად ჩავარდა. ექიმმა გასინჯა, თავი გააქნია, ექვსი დასახელების წამალი დაუნიშნა. აფთიაქში დავტოვე ჩვენი მცირეოდენი დანაზოგი 86 ლარი.

პურის ფულიც არ გვქონდა უკვე.

მეზობელ მარკეტში ვალები იზრდებოდა, თუმცა ცირასთვის ქართულ ლავაშს ხშირად მჩუქნიდნენ ხოლმე. შაქარი, ჩაიც ილეოდა ჩვენი **"ხის მაცივრიდან"**, რომელიც ფანჯრის რაფაზე გვქონდა მოწყობილი.

– მამა, ჩვენ ხალხი ვართ?

მეკითხება ცირა.

– რა თქმა უნდა, ვპასუხობ მე.

–კარგია, მაშასადამე მალე მივიღებთ საარსებო მინიმუმს, ანუ ორ სულზე 220 ლარს, კიდევ დევნილის შემწეობას, დავალიანებას, პენსიას, შენს ხელფასს, მშივრები არ ვიქნებით, მამა!

– ჰო, მამა.

მალე აფხაზეთში დავბრუნდებით, მამა.

– აუცილებლად, შვილო.

– მე იქ კარგად გავხდები მამა.

– რა თქმა უნდა, შვილო.

ამ საუბრით ვიწყებდით და ვაღამებდით ყოველ დღეს, რომელსაც კალენდარზე შემოხაზავდა ცირა.

დღეები კი ისე მიიზლაზნებოდნენ, როგორც აფხაზეთის უსაშველოდ ბნელი და გრძელი ღამეები.

ახალმა მინისტრმა სამუშაოს დატოვება გვიბრძანა რეორგანიზაციასთან დაკავშირებით: 35 ლარიანი სამსახურიც დავკარგე.

ამავე დღეებში ვიღაცამ ცირას ვოინიჩის **"კრაზანა"** ათხოვა თურმე. აღტაცებული იყო, თითქმის დაიზეპირა. ინვალიდობითაც ამაყობდა და კრაზანას გმირულ სიკვდილზე ოცნებობდა.

– მამა, რა შემიძლია, რითი დავეხმარო რევოლუციის ლიდერებს? მეკითხება ცირა.

– აი, კარგად გახდები, წამოიზრდები, დიდი საქმეები და ბევრი ვარდები გექნება, ვაიმედებ მე.

ცირას უკვირდა ჩემი ხანგრძლივი გაუჩინარება. არ ვუთხარი, რომ სამსახური დავკარგე, უკვე ორი კვირა ვეძებდი, მაგრამ უშედეგოდ; ვერ ვეტყოდი მას, რომ მე **"დაკარგული თაობის"** წარმომადგენელი გავხდი, ამასთან ორი უმაღლესი განათლებით, არა მოდური პატიოსნების იარლიყით, საშუალო ასაკით.

ვისთან არ ვიყავი, ვის არ მივმართე განცხადებით, მაგრამ დაპირების მეტი არაფერი ჩანდა.

პურიც არ გვქონდა, ვალები კი იზრდებოდა. ენგურს გაღმიდან ახლო ნათესავები ზოგჯერ წამომაშველებდნენ რამეს, მაგრამ ჩემს თავმოყვარეობასაც ჰქონდა საზღვარი.

ცირა, ეტყობა, ხვდებოდა ყოველივეს, შეძრწუნებული ჩანდა.

ბავშვს საათობით ვარწმუნებდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ყველა კარგად ვიქნებოდით, საქართველო ძველ დიდებას დაიბრუნებდა, სამუშაოზე დაგვიძახებდნენ, აფხაზეთში მალე დავბრუნდებოდით.

ცუდად გამომდის ტყუილი: მეც არ მჯეროდა ის, რასაც ვამბობდი. ვხვდებოდი, რომ შუქი გვირაბის ბოლოს ჯერ კიდევ შორს იყო.

ბზარი გაუჩნდა ჩემს მარადიულ ოპტიმიზმს: იქნებ ეს ჩემი სამშობლო მართლაც არ არის, იქნებ ჩემისთანები არ სჭირდება ჩემს ქვეყანას, ზედმეტი არსებანი გავხდით. ამ ეჭვს განმიმტკიცებდა ის რეალობა, რომ უფულო კაცი საქართველოშიც უკვე კაცად არ ითვლებოდა.

ცირას დილაადრიან გავეპარე, რამე უნდა მექნა. მხეცის მოწოლას ვგრძნობდი: ფული ან პური, ბევრი პური უნდა მეშოვა.

საოცრად ბრჭყვიალებდნენ მაღაზიის ვიტრინები, გრიალებდნენ კაფე-რესტორანები, ქალბატონებს უზარმაზარი, ფულით გატენილი ხელჩანთები ოქროს ძეწკვებით ეკიდათ ყელზე, 17-20 წლის ყმაწვილები მართავდნენ ქალაქში ძვირადღირებულ მანქანებს. მეც შემეძლო ვინმე გამეძარცვა, დამეყაჩაღებინა, შემრჩენოდა ან ციხეში ამომეყო თავი, მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადავდგი, ცირა შემეცოდა, ამას გადაჰყვებოდა უეჭველად.

ეკლესიაში შევედი: ღვთისშობელს შევავედრე ცირა და ჩემი თავი; წამით თავბრუ დამეხვა-ყველა ხატიდან ცირა მიმზერდა საცოდავი სახით, ცრემლიანი თვალებით.

ბინისკენ მოვლასლასებდი უაზროდ. სანაგვეთა მწკრივში ორი-სამი მაწანწალა, იქნებ ადრე ჩემსავით ამაყი და პატივმოყვარე, იქექებოდა ყუთებში. ცელოფანის აპკში კარგად შეფუთული, თითქმის მთელი, ლავაში დავლანდე, ინსტინქტურად გამექცა ხელი; **"ნაგვისტებმა"** გამაფრთხილებლად გამაყოლეს მზერა.

ჩემში ყველაფერი მოკვდა, არარაობად ვიქეცი. იქვე დაგდებულ სიგარეტის ნამწვს დავავლე ხელი, ზორბად მოვქაჩე.

სამ დღეში აღდომის დღესასწაულია. სადგურში გავედი, ენგურს გაღმა შევუთვალე რაიმე გამოეგზავნათ; მათ რა უჭირთ, არიან მონობაში, ტერორში, მაგრამ საკუთარ ეზო-კარში, საკუთარ ციხე-სიმაგრეში, რომელზე უმტკიცესი ჯერ არ შეუქმნია ადამის მოდგმას. ვთხოვე საადღგომო კვერცხებიც არ დაეშურათ ცირასთვის.

ნაცნობმა ათი ლარი შემაჩეჩა ხელში. უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. ლილოს ბაზრობა გამახსენდა – ჩემი პირველი ბიზნესი, ხელჩართული ბრძოლა გლდანის ბაზარში სავაჭრო ადგილის ხელში ჩასაგდებად, პირველი ამონაგები-ორლარიანი. არა, შემდგომი დღეების გახსენება არ მინდოდა!

პურით, კარაქით, ნედლი კატლეტით, ბოსტნეულით, ერთი შოკოლადით დატვირთული დავბრუნდი ცირასთან. ვივახშმეთ. ცირა ჩამეხუტა, მეტისმეტად ცხელი, სუსტი და სველი მეჩვენა. ის ისეთი ნაზი და კარგი იყო, ლამის პირველად ვიგრძენი მამაშვილობის საზრისი, ის, რის გამოც არსებობს ყველაზე დიდი გრძნობა: დედაშვილობა, მამაშვილობა ამქვეყნად. ცირამ იხუმრა – **"ვარდები გვაქვს, მამამ ახლა პური უნდა მიშოვოსო"!**

გადავწყვიტე ბოლომდე მებრძოლა, მებრძოლა ცირას და ჩემი გადარჩენისთვის.

აღდგომის ადრიან დილას (რატომღაც ქრისტეშობა ამეკვიატა) სადგურში გავედი. სოფლიდან სურსათი გამომიგზავნეს, მათ შორის კვერცხები.

სახლში გახარებული ვბრუნდებოდი.

ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. მივესალმე, დღესასწაული მივულოცე. ყრუდ, თავჩაქინდრულად მომესალმნენ. შევშფოთდი.

მეექვსე სართულზე, ჩვენი ბინის წინ, ქალები ტიროდნენ, ჩემს დანახვაზე კოლხურმა კივილმა თითქოს ცა შემოახია თბილისს.

შემდეგ, რა იყო, ვერ ვიხსენებ.

ცირას საწოლის რკინაზე ჩამოეხრჩო თავი.

ახლა მარტო ვარ. არაფრის მეშინია, არც არაფერი მადარდებს, ყველაზე დიდი შიში, შიშია თურმე. საათობით ვუმზერ ცირას სუდარას საწოლზე, რომელსაც დაბრუნებულ აფხაზეთში გადავიტან ცირას ნეშტთან ერთად. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, გამხმარი წითელი ვარდებია და გამომშრალი მთელი პური, პური, რომლის გარეშეც კაცობრიობის ყველაზე გენიალური ქმნილებებიც არარაობა ყოფილა თურმე.

ალბათ, მეათასეჯერ ვკითხულობ ცირას გრძელი, ლამაზი თითებით უჯრებიან ქაღალდზე დინჯად გამოყვანილ სტრიქონებს:

"მამა, მაპატიე ღალატი. კრაზანასავით სამართლიანობისთვის მინდოდა გმირად სიკვდილი, მაგრამ ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო ეს მხოლოდ უდღეური ოცნება ყოფილა. მაინც გმირად ვკვდები, რადგანაც ჩემი ამ უშიშარი ნაბიჯით, ვფიქრობ, გადავარჩენ შენს თავმოყვარეობას, სიამაყეს, ღირსებას, რასაც შენ ჩემს გამო თანდათანობით ელევი;

მამა, გთხოვ შემისრულო ბოლო თხოვნა – არ შეიცვალო, დარჩი ისეთად, როგორიც ხარ, ძველქართველად, ჩვენებურ კაცად, სიტყვის და სინდისის ადამიანად.

მამა, ვერ წარმოიდგენ თუ როგორ მიყვარს ჩემი მახინჯი სიცოცხლე, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩენია, რადგანაც ბედისწერამ მე ძალზე ადრე გამაჩინა, შენ კი ძალზე გვიან.

მაპატიე მამა, მჯერა არ დამივწყებ, იამაყებ ჩემით.

გილოცავ ქრისტეშობას (გადახაზულია) აღდგომას!"

დევნილთა ქალაქგარეთ მიგდებულ საფლავზე ცისმარე ვაკითხავ ცირას საფლავის ბორცვს და უბრალო ჯვარს მის თავთან.

იქ შემზარავი სიჩუმეა და უამრავი თვითნაბადი წითელი ვარდი, პური კი საჭირო არ არის.

რაფიელ გელანტია.
თბილისი, 26 მაისი, 2005 წელი

ციტატა-შეხსენება

"...ჯერ კიდევ შარშან მე მივმართე ქართულ საზოგადოებას წინადადებით, ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ კანონის მიღებას სახელმწიფო მოღვაწეთა თავიანთ საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგი არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იქნება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასული მოღვაწეობის შეფასების საკითხიც. უმრავლესობა თუ დადებითად მიიჩნევს მათი მუშაობის შედეგებს, მაშინ ყველა იმ პირს, გამონაკლისის გარეშე, უნდა შერჩეს ხელფასები, მანქანები, აგარაკები, თუ უნდათ, ჩვენი დროის გმირებად გამოვაცხადოთ კიდევაც. მაგრამ თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმიანობას უარყოფითად შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებული უნდა იქნას იმავე ვადით, რა ვადითაც ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ. დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა. მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ მაშინაა ხელისუფლება, როცა მის მფლობელს შეუძლია წახალისება და დასჯა. თუ ხალხს არა აქვს საშუალება მის მიერ დაქირავებული მუშაკების – ქვეყნის ხელმძღვანელობის დასჯისა, მაშ რა ხელისუფლებას ფლობს იგი? ბუნებრივია, ჩვენი პარლამენტი თავისი ნებით ასეთ კანონს არ მიიღებს, დაიწყებენ კივილს, რომ "ცივილიზებულ სამყაროში" ანალოგი არ არსებობსო; იმას კი დაივიწყებენ, რომ ცივილიზებული სამყარო არ დგას გადაშენების საფრთხის წინაშე, ჩვენ კი ვდგავართ..."

(ალექსანდრე ჭაჭია,
1997 წლის თებერვალი)

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 8

ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

ბულათია

დანიელ ფიფია

ჭკადგს დიო ამუდღათი
სოფელც ჯგირი პატი გეძგ.
არძაში გესახვილაფერე,
თიში უმუშო აკა ვერგ.
მახაჩქალცგ ბერგი ოკო,
შხვა მუ უღუ აბა ღმალა –
მინცგ ოკო ახალი დო
მინცგ ჯვეშიში გილადვალა.
არძო ჭკადგს უფერუანცგ
მის ვაზირგ იში თისგ.
თაქი ქოძირ ყასახისგ
მუდგაჯგურა გიკონი თისგ.
მარა ამდღა იშენი შხვარე
მუდოს უღუ ისხი შინი,
ასე ქორშინუანგნი –
გიღუდასი ოკო ჩინი.
ლვეში ჭკადგ გვალა შხვარდ,
ვარდგ ასეიანი ჯგურა.
ის იწგმა ათქუედგ
"ბრელი მითინცგ ვაუფურა".
ოჭკადგრე – რდ თი აკანი
სოდეთი სოფელი იკათუდუ;
ყაზაყური ჯგირი-ფური –
არძო თაქი ისხუნუდუ,
გაჭირებას თაქ თვალუნდეს,
უეხინდესო – თაქი სხაპუნდეს,
თაქი იბირდეს, ჭარდაკენდეს,
ბურთის თაქი ლაყაფენდეს.
ჭკადგში სიტყვა ბეჭედირდ
ჭკუაში დგმაგურაფალი;
ფარაშა მის ვაუსხუნუდ
იში ოშგმეშიში კაკალი.
ჭკადგშენი ლერსები რდ
დონწყილ შხვადოშხვაგვარეფი,
გილეშ იში გური შენი
ოშინერი რაგადეფი.
დღაშიში ხანდათ
გური ხარცქილემც,
პატგნიშოთ შულადირემც,
ონჯუას დუდი თაქ მუღუდეს
დუდიშოლო შურც იკაშუნდეს.
წენდიხური უტუ მიქა
შხვაშე უმოსი ცქვაფილირდ.
იში არზი, იში სიტყვა
სათოყუჯო, ჭკადილირდ.
იშ ნაჭკადა თოფ-ტაბაჩას
შხვაშა მუჭო თირანდეს,
უტუ მიქაშ ოჭკადირეს,
"კრუპი" შორო შინანდეს.
კოჩითირდ შხვანერი ყვაში,
მესაჯინე შხვანერ გვალო,
ხონერ უღუდ მუთ გურგინი
თოლეფ გოთომუდუ ვალო.
თე ჭკადგში მახანტალო,
თე ჭკადგში მაცქვაფალო,
კალამი ოკო უშულადგ,
რუსთაველი მაჭარალო.
ჭახანი ქორე მუდგარენი
უტუქ გვალო გაგგმითირგ,
საქვარუას გოურკგდო
ყუდეს ოშა გოშა ძირგ.
ოში ქუწუე ართია გიწინც
რაგადიშა გური ვაფუ,
ვეგიონწყუ ჯგირი ტარც
მუდგენ შხვაშხვას მიშეფაფუ.

მჭედელს დღესაც, აქაც, იქაც
ახსენებენ ყველგან კარგად,
რადგან ყველას ის სჭირდება,
მის უმისოდ არვინ ვარგა.
სათოხარებს თოხი უნდა,
ისე სარჩო არ იქნება,
ზოგს ახალი თუკი უნდა,
ზოგს ძველის სურს შეკეთება.
მასთან, აბა, ვის არ ნახავ,
მჭედელს ყველა ეფერება,
იქ იხილავ ყველა გლეხკაცს,
ვინ რომელიც მოგინდება.
დღეს მთლად ასე აღარ არის,
სხვა საზომიც იპოვება,
სახელი და მოწონება
ახლა ჩინით იზომება.
წინათ იგი სულ სხვა იყო:
ამ მთესველსა სიკეთესი
ვინ დაძრახდა, რომ მხნედ ეთქვა
– არვისა ვარ უარესი.
სამჭედლური იყო კუთხე
სად სოფელი თავს იყრიდა
და გლეხური კარგი-ავი
ყველა აქვე ითქმებოდა.
გაჭირვებას აქ მოთქვამდნენ,
ლხენა იყო – აქ ცეკვავდნენ,
აქ მღეროდნენ, ჭადრაკობდნენ
ბურთსაც აქვე თამაშობდნენ.
მჭედლის სიტყვა ბეჭდად ღირდა,
უგონებდა ერი, ბერი,
ფულზე ვიღას არ ერჩივნა
მის ულვაშის ერთი ღერი.
მჭედელკაცზე ლექსს იტყოდნენ
დაწყობილად, მრავალგვარად,
დადიოდა მასზე ხმები
სანაქებო საქმის დარად.
დღიურ ყოფით გულ-
დამწყდარებს,
წელმოხრილებს ჯაფით ოთხად,
თავისუფლად თავშეყრილებს
აქ შეეძლოთ სულის მოთქმა.
წალენჯიხელ უტუ მიქას
სხვაზე მეტად აქებენ.
მისი აზრი, მისი სიტყვა
გულადს უფრო აქეზებს.
მის ნაჭედი თოფ-დამბაჩა
სხვაზე აღარ გაიცვლება,
უტუ მიქას ეს სამჭედლო
"კრუპის" დარად იხსენება.
კაციც იყო სულ სხვა შუბლის,
სხვანაირი ბედისწერის,
ხმაცა ჰქონდა როგორც გრგვინვა,
თვალნი ელვით დანაფერი.
და ამ მჭედლის დამხატველი,
მისი ფარდი შემქებელი,
კალამი გსურს მოუღლელი,
ვით დიადი რუსთაველის.
რა ხანია, რადაც უტუს
თითქოს საქმე შეელახა,
გარე-გარე მალ-მალ დადის
შინ კი იშვიათად ნახავ.
ასი კითხო ერთს თუ გეტყვის
დაკარგვია სიტყვის მადა,
აღარ ახსოვს კვერი, ურო,
არ ადგია წაღმართ გზასა.

მ ა ფ ა ლ უ

მომდევნო წიგნი – ვითომ მაფალუ

ეს წიგნი სათანადო ისტორიის დოკუმენტებისა და წყაროების საფუძველზე დაგვანახებს საქართველოში **"საბჭოთა ავტონომისტური მშენებლობის სიკეთის"** დემაგოგიური-სახელმწიფოებრივი აგიტაცია-პროპაგანდისა და პრაქტიკული მშენებლობის, გავლენით სამეგრელოს რეგიონის, მდინარე ჩხოუშის სანაპირო ქალაქ ზუგდიდის კომუნისტებისა და მათი ამყოლი უპარტიო ინტელიგენციის ერთ მცირე ნაწილში ერთიანი სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის იდეის აღმოცენებას.

წიგნში მობილიზებული იქნება სათანადო ისტორიის წყაროები, რომლებიც ცხადყოფენ ჩხოუშიელი კომუნისტების ავტონომისტური აზროვნების წაბიძგების საყრდენს, ი. სტალინის თეორიულ მემკვიდრეობასა და საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის მხრივ გაცხადებულ ღონისძიებებს.

საარქივო დოკუმენტებისა და წყაროების საფუძველზე ცხადი გახდება, რომ თვით ხელისუფლების მიერ წაბიძგებულ ჩხოუშიელების ავტონომისტურ განწყობილებას საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივმა ხელმძღვანელობამ დროულად ვერ მოუხერხა მეგრული ენის მოტრფიალე და რეგიონის ერთადერთ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის ინტერესების რაციონალური, გარდამავალი ხანისათვის აუცილებელი ღონისძიებით უზრუნველყოფა. ამიტომ აღმოცენდა სამეგრელოს ავტონომიური მოწყობის იდეა. იგი უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლმა კომუნისტებმა წამოაყენეს, რადგან მათ ჰქონდათ თავიანთი აზრის გახმოვანების უფლება და შესაძლებლობა. ხელისუფლებამ მიზანშეწონილად მიიჩნია მეგრელი მოსახლეობის ცხოვრების ახლებურად მოწყობის იდეის ინიციატორი **"ჩხოუშიელი"** კომუნისტების მიმართ რეპრესიული ღონისძიების გამოყენება. ამის იოლ გამოსავლად გამოიყენეს 1922-1923 წლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული პარტიულ-პოლიტიკური **"ჩისტკა"**. ამ დროს გატარდა ავტონომისტური იდეების მორწმუნე კომუნისტების, მათ შორის ბოლშევიკური პარტიის წინაშე დამსახურების მქონე პირთა პარტიიდან გარიცხვა.

წიგნში მობილიზებული იქნება წყაროები, რომლებიც მოწმობენ, რომ რეპრესიული ღონისძიებებით ვერ გადაიჭრა სამეგრელოს ძირითადი მასის ინტერესებიდან გამომდინარე პრობლემები, მათ შორის, ისტორიის რეალობის საფუძველზე გარდაუვალად აუცილებელი, რეგიონალური მეგრული ენის ძირითად მწარმოებელთა ინტერესების შესაბამისად ფუნქციონირების დაშვების საკითხი.

სათანადო დოკუმენტაციითა და ისტორიის წყაროებით ნაჩვენები იქნება, რომ ავტონომისტი კომუნისტებისა და მათი მხარდამჭერი უპარტიოების ნაწილობრივ მაინც სამართლიანი პრეტენზიების რეპრესიული ღონისძიებით დათრგუნვამ ავტონომისტებს შეუქმნა საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განდგომის, მათი **"მენშევიკების მსგავს შოვინიზმში"** გადახრის და **"პატარა ხალხების"** (მეგრელების) ინტერესების მიმართ ველიკოდარჟავული დამოკიდებულების შთაბეჭდილება. სათანადო ისტორიის წყაროების მობილიზებით ცხადი გახდება, რომ 1925 წელს ავტონომისტებმა ძირითადად სწორედ აღნიშნული პრეტენზიებით გაილაშქრეს საქართველოს ხელმძღვანელი ცენტრის წინააღმდეგ. ჩხოუშიელი კომუნისტების და უპარტიოების რამდენიმე წარმომადგენელმა ექსტრემისტულ-სეპარატისტული იდეების შემცველი საჩივრებით მოითხოვეს დამოუკიდებელი მეგრული კულტურის შექმნის უზრუნველყოფა და საქართველოს ცენტრის მხრივ გამოვლენილი უყურადღებობის გამო საკუთარი ინიციატივით წამოიწყეს თავიანთი იდეის შესატყვისი მეგრული გაზეთის **"ნოთეს"** (მნათობის) გამოცემა, ხოლო იმის შემდეგ რაც მისი გამოქვეყნება დაიგმო და აიკრძალა, ჩხოუშიელებმა საქართველოს პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო ავტონომისტურ-სეპარატისტული ხასიათის არგუმენტების შემცველი საჩივარ-განცხადებები გაუგზავნეს ამიერკავკასიის და საკავშირო ხელმძღვანელობას. არადა, შეიძლებოდა პრობლემის მანამდე მოგვარება ვიდრე ეს **"ინტელიგენტური მოძრაობა"** აღმოცენდებოდა.

შესაბამისი ისტორიის წყაროების საფუძველზე, წიგნში ილუსტრირებული იქნება ავტონომისტ-სეპარატისტული საჩივრების ავტორების და ხელისუფლების შემდგომი, უკიდურესად უხამსი ურთიერთობა. ნაჩვენები იქნება აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა და ზუგდიდის სამაზრო ხელმძღვანელობის, მათ შორის ისაკ ჟვანიას და სხვათა მიერ მეგრელ გლეხობისათვის მტკივნეული ენობრივი თუ სოციალური საკითხების მოგვარებისათვის დასახული, აუცილებელი გარდამავალი ხანისათვის გათვალისწინებული რაციონალური ღონისძიებები, რომელთა დროულ გატარებას უთუოდ შეეძლო პრობლემის უმტკივნეულოდ და ყოველგვარი აურ-ზაურის გარეშე მოგვარება. მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელმა ცენტრმა 1925 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რესპუბლიკაში შექმნილი უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვის და კომპარტიის პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი პოლიტიკური ინტელიგენციის გულისმოგება-გადაბირების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია **"მეგრული საკითხის"** მოგვარების რაციონალური წინადადებების უგულვებელყოფა, იგნორირება და გაბიაბურება. ლ. ბერიას აქტიური მონაწილეობითა და ჩეკისტური **"მართვის"** მეთოდებით ავტონომისტების ნააზრევი გააყალბეს ორგანიზებულ ბრძოლად. ლ. ბერიამ ი. ჟვანია ყალბად და მიზნობრივად გამოაცხადა ჩხოუშიელი ავტონომისტების მფარველ-წამბიძგებლად. საქართველოს ხელმძღვანელმა ცენტრმა მართალია მნიშვნელოვანი გარდამავალი ხასიათის აუცილებელი ღონისძიებები დასახა, მაგრამ ესეც 30-იან წლებამდე მიზნობრივად დააკონსერვა. იგი შეეცადა საკითხის მოგვარების დაკონსერვებით რამდენიმე ინიციატორისა და მათი მიმდევრების ავტონომისტურ-სეპარატისტული საჩივრები, რომელთაც სულ ათიოდე პიროვნება აწერდა ხელს, ჩეკისტური მეთოდებით დიდ ეროვნულ საშიშროებად გაეზვიადებინა და, ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკით უკმაყოფილო მასების გაბიაბრუების გზით, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი ხელისუფლების ავტორიტეტი მოეპოვებინა.

წიგნში წარმოჩენილი იქნება აღნიშნული ისტორიის წყაროები, რომლებიც საგნობრივად დაგვანახებენ **"მეგრული საკითხის"** მოგვარების როგორც სამართლიან, რაციონალურ, ისე ავტონომისტურ-სეპარატისტულ და მათ წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური მეცადინეობას.

მკითხველი ამ დოკუმენტურ-ანალიტიკური ნაშრომის სახით მიიღებს საბჭოთა 1921-1925 წლებში **"მეგრული საკითხის"** მოგვარების რეალური ისტორიის ადექვატურ გაშუქებას. იგი დოკუმენტური ფაქტებით საგნობრივად დარწმუნდება, რომ ე.წ. **"დიდი ეროვნული საშიშროება"**, სინამდვილეში იყო **"მეგრული საკითხის"** იგნორირების გამო, ჩხოუშიელი ინტელიგენტების მხოლოდ ერთი ჯგუფის არცთუ მთლად უსამართლო ვნებათაღელვით გამოწვეული, თვით ხელისუფლების მიერ პროვოცირებული, ერთეულების ინიციატივა. მაგრამ იგი არც **"პოლიტიკურ ძალას"** წარმოადგენდა, საქართველოს ეროვნულ ერთიანობას ვერც რაიმე რეალურ საშიშროებას უქმნიდა და მას მეგრული ენის მქონე ძირითად მასაზე გავლენა არც მოუხდენია. სინამდვილეში, ამ ერთეულთა გამოყენებით ტოტალიტარულმა ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი მართვის ჩეკისტური მეთოდებით შექმნა მეგრული სეპარატიზმის ეროვნული საშიშროების პოლიტიკანური ფარსი და შესაბამისი, ისტორიის ის ყალბი ვერსია, რომელიც კრიტიკის გარეშე მიიღო ჩვენი ინტელიგენციის გარკვეულმა წარმომადგენლობამ, იმის მიუხედავად, რომ ეს ფარსი თვით პარტიისა და ხელისუფლების ოფიციალური წყაროებით აიხსნება და ბათილდება.

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 9

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

1842 წელს ლევანმა, უზენაესის თანაჯერჩინებით, სამეგრელოს მმართველად დანიშნა თავისი შვილი დავითი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როგორც განათლებულ კაცზე. დავითი აღიზარდა ბარონ როზენისა და თავად ბებუთოვის სახლებში, ნამყოფი იყო აგრეთვე პეტერბურგში და გარკვეულათ ჰქონდა წარმოდგენილი როგორც თავისი მდგომარეობის, ისე თავისი მომავალი მოქმედების პროგრამა, სწორედ ისეთი, რაც უფრო გამოდგებოდა პრაქტიკულად.

დიდ ნიკოს კასაში არამც თუ კაპიკი არ აღმოაჩნდა ფულად, პირიქით, ვალად დასდებოდა ქუთაისის ებრაელებისა ათას ხუთასი თუმანი; ოჯახური საქმეები აწეწილ-დაწეწილი იყო, და დავითმა ისწრაფა გადაერჩინა, რაც ჯერ კიდევ არ იყო დატაცებული. მაინც და მაინც ამისთვის კაცი ვერ დასძრახავდა დავითს; წინ იცქირებოდა და ცდილობდა საწადელსა სწეოდა. მისის რწმენით, მისი დიდკაცური მდგომარეობისათვის სიმდიდრეც იყო საჭირო. თავის სამფლობელოში აღიჭურვა დიდის აღმასრულებელ და უკონტროლო ძალა-უფლებად, და ამასთან იცოდა, რომ 1803 წელს დადებული ტრაქტატის ძალით რუსეთის მთავრობა საჭიროების დროს დამეხმარებაო, და ამ გარემოებით სარგებლობდა კიდეც. დავითის მხნეობამ და მიდეგაობამ გამოიწვია საერთო დრტვინვა, უკმაყოფილება და ვერაგობა, რაზედაც ჩვენ ზემოთა გცქონდა ლაპარაკი, ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობამ გააბოროტა და რაკი ერთ და ერთი გადააცილა კანონიერების მიჯნას ურჩებთან, მალე მიმართა **"დადიანურებსა"** და დილეგებს. ერთ გაჯიქებულ ქურდისათვის, ძველებურ ჩვეულების თანახმად, მაჯაც-კი მოაკვეთინა. კონტრაბანდა საქონლის საწყობები იყო გამართული ზუგდიდსა, სანაკსა, სუჯუნაში და სხვაგან. ამ საწყობებმა დიდძალი ფული აშოვნინა; ამბობენ, აქედან ნახევარ მილიონზე მეტი ქონება შეიძინაო. ვორონცოვს ეს ამბავი არ გამოპარვია, დავითის მოქმედების ხასიათი არ მოსწონდა და სიტყვა ჩამოუგდო – ნებაყოფლობით აიღე ხელი მთავრის ძალაუფლებაზეო და სამაგივროთ ფულად მოგეცემა სასყიდელიო. მთავარმა სთხოვა – ჩემი მამულები დამიტოვეტ და წლიურადაც სამი ათასი თუმანი პენსია გამიჩინეთო. ამდენი ფული, ალბათ იბევრეს და მოლაპარაკება ამით დამთავრდა. ვორონცოვმა დავითს მაინც აგრძნობინა, რომ თუ ასე სასტიკად მოექცევი შენს ქვეშემრდომთ, ამას, ადვილად შეიძლება, შენს უნებურათ, სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება მოჰყვესო. ეს იყო პირველი სერიოზული გაფრთხილება. ამას შემდეგ, დიდ ხანს არ გაუვლია, ისე დავითი გარდაიცვალა, და რაც მოჰყვა მის გარდაცვალებას, მკითხველებს უკვე მოეხსენება.

ასეთი იყო ახლოხნის, ჯერ კიდევ სამწუხარო წარსული იმ ქვეყნისა, რომლის სომ შვენიერესაც სტენლი ცენტრალური აფრიკის ოაზისებში იგონებდა ხოლმე.

ოდიშში ერთი უუმშვენიერესი ადგილთაგანია მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირი; მის გაყოლებაზე მიდის მთელი რიგი ვაზებით დაფარული ქედებისა, რომელთა ძირშიაც ბატონიშვილებს თავიანთი სამოსახლოები გაუმართავსთ. და ერთ ამათგანის ახლო მდებარეობს ნანგრევები ძველის ქალაქის **ეა**-სი, ჯერ ისევ ჰეროდოტეს მიერ რომ არის მოხსენებული; შემდეგში იმავე ქალაქს სტრაბონი არქეოპოლისს ეძახის. ახლა კი ამ ნანგრევთ ქართულად ნაქალაქევი ჰქვიან. არქეოლოგის ხელი ჯერ არ შეჰხებია ამ ჭაღარა სიძველეს და როცა მომავალში დაიწყებენ აქაურობის გათხრას, უეჭველია, აქაც იმდენს რასმე იპოვნიან, როგორც იპოვნეს და ჰპოულობენ მიტრიდატის მთაზე ქერჩში; ჯერ-ჯერობით კი ტურისტის ყურადღებას იპყრობს აქ კარგად შენახული ტაძარი იუსტინიანეს დროისა 40 მოწამის სახელობაზე, მშვენიერ ფრესკებიანი და საიდუმლო გვირაბიანი მდინარისაკენ; ამ გვირაბს თაღები უზარმაზარ თლილის ქვისები აქვს, რომლის შენება ცხადად მოწმობს მისს ძველის-ძველობას. ნაქალაქევიდან 9-10 ვერსის მანძილზე, ტეხურის დაყოლებაზე მდებარეობს სავაჭრო დაბა სენაკი და იმის იქით ერთიოდ ვერსის სიშორეზე სასახლეა კნეინა მანიკი დადიანისა, აფხაზეთის მთავრის მიხეილ (ჰამუთბეი) შარვაშიძის ცოლისა, რომელსაც გაეყარა და სხვა შეირთო. სასახლის დიასახლისს, კინაღამ მთავრის ოჯახის მანდილოსანს, ეძახდნენ უგანათლებულეს მენიკის; სწორეთ ამ მენიკის სასახლეში ბრძანდებოდა სტუმრად თვითონ დედოფალი, რომელმაც აქედან გაატანა კოლუბიაკინთან მიქაძეს წერილი.

მენიკის სასახლე ორსართულიანი იყო, გრძელ და განიერ ტერასიანი, რომელიც ტეხურზე გამოდიოდა, ხოლო უკანიდან ედო ვრცელი ეზო, სადაც ცათამდე აშვერილი იყო ასწლოვანი ჭადრები, მუხები და კაკლისხეები; ეს ხეები იქაურობას სქელ ჩრდილსა ჰფენდა, აგრილებდა და გაქათქათებულ მზის სხივთაგან იფარავდა ადამიანს. ამ ვრცელ კარმიდამოს იქით იწყებოდა სოფელი შხეფი, გორაკის ძირას გაშლილი, ამ გორაკს კონუსის სახე ჰქონდა და თავზე წამოდგომოდა ნანგრევები დიდის კოშკისა, დადიანების ძველებურ ციხისა, რომელსაც სქლად ჰფარავდა სურო.

როცა დედოფალი სადმე წავიდოდა, სულმუდამ თან ახლდა კარის ამალა, რომელიც, როგორცა ვსთქვით მოაწყეს თვით მენიკმა და განსვენებულმა მთავარმა. ამ ამალაში ყველაზე უფროსი იყო სახლთუხუცესი, ამას რამდენიმე თანაშემწე ჰყავდა, მერე მოსდევდა მთელი გროვა თავადისშვილების გვაროვნობის ლამაზი ყმაწვილებისა, რომელთაც ჭრელ-ჭრელი ტანისამოსი ეცვათ და კოხტა იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი. ამ ყმაწვილებს შინაყმები ერქვათ და მთავარს ემსახურებოდნენ, მათში ყოველ-დღე ორ-ორი მორიგეობდა, მოახსენებდნენ სტუმრებისა და მთხოვნელების მისვლას და მათვე გადასცემდნენ სიტყვიერად მთავრის ნაბრძანებს; სუფრაზე ჭურჭელი უნდა გამოეცალნათ და მთავრისათვის ღვინო მიერთმიათ. ეს ახალგაზრდობა საუცხოოთ იყო გაწვრთნილი, ზრდილი, მარდი და ნატიფის მიხვრა-მოხვრისა, თითქმის ყველანი ლაპარაკობდნენ რუსულს, უმეტესობა მათგანს მარტვილის სასულიერო სასწავლებელში ესწავლნა: მეტად მოხდენილად ცეკვავდნენ და სასიამოვნოდაც მღეროდნენ ხოლმე მეგრულ სიმღერებსა. თავადები დიდ ნადიმებს რომ გამართავდნენ, ამ მომღერალთა გუნდს ცალკე სუფრას მოუსვამდნენ და პირველ თავ საჭმლიდანვე სემოსძახებდნენ სიმღერას, თითქოს ორკესტრიაო. ამ შინაყმებს გარდა კნეინასთან მუდამ იყვნენ მდივანი, მოლარე და მოძღვარი. ყველა ამ სასახლეში თავიანთი ულუფა ეძლეოდათ და ბინა. სამზარეულო იყო ევროპული და აქაური; ევროპულ სამზარეულოს გამგედ იყო შვეიცარიელი სოლომონ პფეინინგერი. მოსამსახურე ქალთა შტატს მეთვალყურედა ჰყავდა მოხუცი ქალი, ძიძა კნეინისა. ეს შტატი შესდგებოდა ძიძებისა და მოახლეებისაგან, უმთავრესად აზნაურ ქალებისაგან. ცხოვრება მეტად ნირშეუცვლელი იყო: ყოველ დილას კნეინა და მისი შინაყმანი წირვას ისმენდნენ, 12 საათზე საუზმე იყო, მერე იწყებოდა მოხსენებები და სტუმრების დახვედრა, საღამოს ხუთ საათზე სადილობდნენ, 6 საათზე მწუხრის ლოცვაზე მიდიოდნენ. საღამოს შინაყმებს თავთავისთვის გაუშვებდნენ და კნეინა თავისიანებთან რჩებოდა. მარხვას უეჭველათ ინახავდნენ და დიდ დღესასწაულებში ჩვეულებრივ მობრძანდებოდა ჭყონდიდელი და სწირავდა დიდის ზეიმით. ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლის დროს დედოფალს მეტად მშვენიერი ამალა ახლდა, რომელიც ახლა, აქაურ სტუმართმოუვარეობის ძალით, კნეინა მენიკის ხარჯზე იყო.

ციტატა-შეხსენება

გაიხსენეთ, რამდენი დეპუტატი ტრიალებდა ჩვენს თვალწინ ბოლო წლებში, რამდენი მავნე კანონი მიიღეს, რა არაკომპეტენტურობა, უვიცობა გამოამჟღავნეს მათ "საქმიანობაში". რომელიმე მათგანმა იკისრა პასუხისმგებლობა? მოქალაქეთა კავშირი ბოლო არჩევნების დროს ხალხს შეპირდა 2000 წლისათვის, ე.ი. 4 წლის განმავლობაში, ერთი მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. წელიწადნახევარი უკვე გავიდა, უკვე უნდა ყოფილიყო შექმნილი 350 ათასი ადგილი. ამის ნაცვლად მიმდინარეობს ყველა კატეგორიის მუშაკთა მასობრივი შემცირებები. როგორ აგებენ პასუხს მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელები ხალხის შეგნებულად მოტყუებისათვის?

(**ალექსანდრე ჭაჭია**, 1997 წლის თებერვალი)

მცირე რამ ცნობა სამეგრელოს მთავრის შესახებ

თავადი დავით ლევანის ძე დადიანი

გენერალ-მაიორი, სამეგრელოს მთავარი, ჩიქოვანთა გვარიდან, დაიბადა 1812 წელს, გარდაიცვალა 1853 წელს. განათლება და აღზრდა მიიღო თავადებთან ვ.ო. ბებუთოვთან და გ.ვ. როზენთან, რომლებიც ცდილობდნენ, რომ სამეგრელოსათვის ღირსეული მთავარი გაეზარდათ. 1829 წლის 15 თებერვალს იგი კორნეტად ჩაირიცხა კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკში, სადაც პოლკოვნიკის ჩინის მიღებამდე იმსახურა. 1840 წლის 11 მაისს, მისი მამის თავად ლევანის მაღალი ნებით, იგი სამეგრელოს მთავარი გახდა. ამ ადგილის დაჭერისთანავე დავითმა სამეგრელოს მართვის საქმეებში ძირეული რეფორმები განახორციელა. მთავრის ხაზინა დაცარიელებული იყო, ყველგან ქაოსი სუფევდა. დავით დადიანმა სამეგრელო რამდენიმე ოლქად დაჰყო და მათ მოსამართლედ მივანბეგებად წარჩინებულ თავადთა გვარის წარმომადგენლები დანიშნა. მანამდე მოსამართლეობა სამუდამოდ ენიჭებოდა ამა თუ იმ პირს და შემდეგ მის გვარში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დადიანმა კი მოსამართლის სტატუსი დროებითი გახადა და და მოსამართლის ფუნქციის შესრულებისათვის ნიხრი დააწესა. მხარეთა მართვისათვის მან დააწესა სპეციალურად შექმნილი ინსტრუქცია, რომელიც ძალზე წააგავდა 1842 წელს კავკასიის მხარის მართვისათვის მიღებულ განაწესს. გარდა ამისა, დავით დადიანმა შექმნა მიწათმოწყობის უწყება და საეკლესიო მიწების ამ დაწესებულებებისათვის გადაცემის მიზნით თავის გავლენას დაუმორჩილა **"შავი სამღვდელოების"** მღვდელმთავარი ჭყონდიდელი, რომელიც მანამდე მარტვილში სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობდა. მან მოახერხა დაერწმუნებინა მღვდელმთავარი, რომ ნატურით გადასახადი შეეცვალა ფულადი გადასახადით, იმ მიზეზით, რომ ნატურით გადასადის აკრეფა ჩრდილს აყენებდა ეპისკოპოსის ღირსებას. თითოეულ სამღვდელოებას მიკუთვნებულ ოჯახს დაეკისრა სამი მანეთის გადახდა, რის შედეგადაც სამღვდელოების სალაროში შედიოდა 12.000 მანეთი. დავითს სურდა, რომ შემდეგში აეძულებინა მღვდელმთავარი შეეტანა ეს თანხა მთავრის სალაროში და ასევე გადაეცა მისთვის საეკლესიო მიწები. ჭყონდიდელი ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ დავითმა ჭყონდიდელად ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი თეოფანე დანიშნა, რომლის მეშვეობითაც სურდა თავისი განაზრახის სისრულეში მოყვანა. მანამდე მღვდლები გლეხებივით ჩვეულებრივად იხდიდნენ შრომით ხარკს და ხშირად მძიმე საგნებსაც კი ეზიდებოდნენ. 1839 წელს დავითი დაქორწინდა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულზე – ეკატერინეზე და მამის გარდაცვალების შემდეგ დიდი თანხებისა და შრომითი რესურსების ფასად ზუგდიდში ააშენა დიდებული სასახლე და მოაწყო ასევე დიდებული ბაღი. დავითი ევროპულ ცხოვრებას ეწეოდა. გატარებული რეფორმების წყალობით მან უამრავი მტერი გაიჩინა თავად-აზნაურთა წრეში, მაგრამ იმდენად ენერგიულად იყო ჩართული რეფორმების გატარებასა და საკუთარ საქმეებში და ყურადღებას არ აქცევდა მათ დრტვინვას. თავის მამულში იგი კანონმდებელიც იყო, მოსამართლეც და კანონის მკაცრი აღმსრულებელიც, თუმცა მიიჩნევდა რომ თავის ნებაზე შეეძლო გამოეყენებინა მის მორჩილთა ქონება. დავითის თვითნებობა სულ უფრო და უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევდა როგორც გლეხობაში, ასევე თავადაზნაურობაში და ამიტომ, რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა ჩარეულიყო სამეგრელოს მართვის საქმეებში. თავადი ვორონცოვი სთავაზობდა დავითს, რომ გარკვეული თანხის საფასურად უარი ეთქვა მხარის განმგებლობაზე, რის სანაცვლოდაც დავითი 30.000 ოქროს თუმანსა და მხარეში ძველ უფლებებში დარჩენას მოითხოვდა. ეს პირობა მიღებული არ იქნა და დავითს აგრძნობინეს, რომ მისი მართვის სისტემის გაგრძელება სამეგრელოში დღის წესრიგში დააყენებდა ავტონომიის გაუქმების საკითხს. დავითი მიხვდა მდგომარეობის სერიოზულობას და ჭახრაკებს ოდნავ მოუშვა, მაგრამ ხარკის აგროვებას მაინც განაგრძობდა და მალე საკუთარ სალაროში ერთ მილიონ ოქროს თუმანს მოუყარა თავი. 1845 წელს დავით დადიანს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა, 1854 წელს კი იგი გორდში გარდაიცვალა 40 წლის ასაკში, მეუღლეს კი უანდერძა, რომ მისი პრინციპებით გაეგრძელებინა მხარის მართვა.

*წყარო – კ.ა. ბოროზდინი, **"ორი ავტონომიის გაუქმება" ("ისტორიული უწყებანი"**, 1885, ტომები XIX და XX); მისივე წერილი ომერფაშას ლაშქრობის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა **"სამხედრო კრებულში"** (1873), მისივე **"კავკასიური მოგონებები"** (1886), კავკასიის არქეოგეოგრაფიული კომისიის აქტების კრებულთა მე-9 ტომი.*

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 10

ეროვნული გაზეთი

რედაქტორის გვერდი

გარდამხდა გარდასავალი...

2009 წლის გაზაფხულის მძიმე დღეებში, როცა თითქმის მთელი საქართველო აიზდარბა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვდა მის გადადგომას, ჟურნალისტების დიდი ნაწილი დოკუმენტებზე დაყრდნობითა და ქვეყნის პრეზიდენტის გაუაზრებელი ქმედებებიდან გამომდინარე, კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ სააკაშვილს ნამდვილად სძულს საქართველო და ქართველები. ამ აზრს ვერც მე შევეწინააღმდეგები, რადგან სააკაშვილის ჯიში და ჯილაგი ოდითგან მტრობდა და ებრძოდა საქართველოს, მაშინაც კი, როცა სომხეთი საქართველოს ფრთებს იყო ამოფარებული და გარე მტრებისაგან მათი დამცველები მხოლოდ ქართველები იყვნენ. ჩვენ მხოლოდ ის გვაოცებს, თუ რამ შეაზიზღა საქართველო და ქართველები თუნდაც ნახევრადქართველ ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც ვერაგულად მიუგდო საჯიჯგნად საქართველო ეთნიკურად და სულიერად არაქართველ სააკაშვილსა და მის გადაგვარებულ გარემოცვას. დღეს ამერიკა და ევროპა გაოცებულია იმით, რომ ქართველი ხალხი უკვე თვეზე მეტია გამოხატავს პროტესტს სააკაშვილის წინააღმდეგ და არავინ გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ გზების პიკეტირების გამო მოსახლეობას ექმნება გარკვეული დისკომფორტი. სააკაშვილის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ხალხის ერთსულოვნება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას კანონიერად არ აურჩევია პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი და მან მხოლოდ საარჩევნო კომისიის **"პრივატიზებითა"** და არჩევნების თავხედურად გაყალბების გზით შესძლო ხელისუფლების უზურპირება.

ახლა, რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის **"აღმზრდელ"** და დიდ ქართულ პოლიტიკაში გამომყვან ედუარდ შევარდნაძეს.

როცა მაღალი სახელისუფლებო თანამდებობიდან **"ჩამოვარდნილ"** ადამიანს ძველ ცოდვებს გაუხსენებენ, ქართველები ნიშნისმოგებით იტყვიან ხოლმე: ძირში მოჭრილი და წაქცეული ხის კენწეროს ყველა შესწვდებაო. შეიძლება მკითხველებმა ჩვენც გვისაყვედურონ – ედუარდ შევარდნაძე უკვე რამდენი წელია ქვეყნის პრეზიდენტი აღარ არის და ახლა რადა დროს მისი კრიტიკააო. მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ. საქართველოს ხელისუფლებიდან წასვლით, ედუარდ შევარდნაძე, როგორც პოლიტიკური ფიგურა სრულიადაც არ წაქცეულა და მისი მრუმე აჩრდილი კვლავ ავბედითად ადგას თავზე სრულიად საქართველოს. ისიც უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რომ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ბრალდებების წამოწევა გახლავთ არა მოხუცი ადამიანისათვის გულის ტკენის სურვილი, არამედ საქართველოში დღეს მძვინვარე **"შევარდნაძიზმის"** ძირფესვიანად აღმოფხვრის აუცილებლობიდან გამომდინარე. შევარდნაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზას რომ გავეცანით, უნებლიედ გაგვახსენდა მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ამერიკული მაფიის ერთ-ერთი თავკაცი, მეოცე საუკუნის დასაწყისში ოდესიდან ამერიკაში ემიგრირებული ებრაელი მოიშე სუხოვლიანსკი, რომლის ფსევდონიმი გახლდათ მაიერ ლანსკი. მრავალ ამერიკელ მაფიოზთა შორის იგი გახლდათ ერთადერთი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ არანაირ კვალს არ სტოვებდა და ამიტომ იგი ვერასოდეს მოიხელთა ამერიკულმა მართლმსაჯულებამ, რათა ჯეროვანი მიეზღო. ათწლეულების განმავლობაში იბოგინა ამ პირწავარდნილმა დამნაშავემ და ისე დასტოვა ეს ცოდვილი წუთისოფელი, რომ ერთხელაც კი არ მოხვედრილა ციხეში. მისი სიკვდილის შემდეგ კი ამერიკის ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მაიერ ლანსკის **"მემკვიდრე"** ბანდის ბოგინი აღეკვეთა და საზოგადოების ცხოვრება ჩვეულ რითმში დაებრუნებინა. ედუარდ შევარდნაძესა და მაიერ ლანსკის შორის განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ ამერიკელ მაფიოზს მართლმსაჯულება უთვალთვალებდა და მის გამოაშკარავებას ცდილობდა. შევარდნაძეს კი ჯიბეში ესვა საბჭოთა **"მართლმსაჯულება"** და თავის ჭკუაზე ატარებდა ამ ვეებერთელა სადამსჯელო მანქანას. და კიდევ, მაიერ ლანსკის დანაშაულებრივ მემკვიდრეობას ამერიკის ხელისუფლება ებრძოდა, შევარდნაძის არანაკლებ დანაშაულებრივი მემკვიდრეობა კი საქართველოს ხელისუფლებას ლამის სამოქმედო პროგრამად აქვს ქცეული.

აი, რატომ იქნება ძნელი **"შევარდნაძიზმის"** აღმოფხვრა საქართველოში!

მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც შევარდნაძესავით მაღალპროფესიულად ფლობდა პოლიტიკური ჟონგლიორისა და ილუზიონისტის ხელოვნებას. იგი ყოველთვის საქმით აკეთებდა იმას, რასაც სიტყვით ებრძოდა – გახლდათ მაღალი დონის მომხვეჭელი, განუმეორებელი კომბინატორი, მოჩვენებითობის უბადლო შემოქმედი, ბრძენი კარიერისტი, დაუნდობელი შურისმაძიებელი, ცრუ და გულცივი პარტიული ფუნქციონერი, რომლისთვისაც ადამიანები და საზოგადოება გახლდათ მიზნის მისაღწევი საშუალება და არა ზრუნვის საგანი...

ნებისმიერი პროფესიონალი მსახიობი სცენაზე საკუთარი როლის თამაშის შემდეგ წარმოუდგენლად იღლება, რადგან წარმოსახვით სამყაროში თუნდაც ორი საათით გადანაცვლება მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შევარდნაძემ მთელი თავისი სიცოცხლე პოლიტიკურ ავანსცენაზე გაატარა, მაგრამ ერთხელაც არ უგრძვნია დაღლა, რადგან იგი მხოლოდ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობდა და ამა თუ იმ დროის შესაფერისი პოლიტიკური როლის თამაში მისი ცხოვრების წესი გახლდათ.

წინამდებარე სტატიის დაწერის სურვილი კიდევ უფრო გაგვიძლიერა იმან, რომ 2008 წლის 6 ივნისს ედუარდ შევარდნაძე ტელეარხ **"კავკასიაზე"** გამოვიდა და მამა აბრამის კრავივით უცოდველად და შეთქმულების მსხვერპლად წარმოადგინა საკუთარი თავი ტელემაყურებელთა წინაშე. ისე გამოიყვანა საქმე, თითქოს საქართველოში მისი მმართველობის ჟამს დატრიალებული მრავალი უბედურების მიზეზი იგი კი არა, თურმე თავად ქართველი ხალხი ყოფილა. მართალია მან რამდენიმე სიტყვით გააკრიტიკა კიდეც დღეს მომქმედი ხელისუფლება, მაგრამ, რა დისონანსის შეტანა შეუძლია საზოგადოების ცხოვრებაში ხელისუფლებას ჩამოშორებული მოხუცი **"პატრიარქის"** უნიათო კრიტიკას, როცა ხელისუფლებას საქართველოს მთელი მოსახლეობა უგზავნის წყევლა-კრულვას, მაგრამ საშველი მაინც არსაიდან არ სჩანს?

რამდენიმე დღის შემდეგ ქართველმა ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ შევარდნაძის ამ სატელევიზიო გამოსვლას გარკვეული პრაგმატული დატვირთვა ჰქონდა და ხელისუფლების ფარული ინტერესების დასაცავად იყო მიმართული. საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებით გაღიზიანებული ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ქუჩის აქციებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას, რაც აშკარად არ უქმნიდა ხელისუფლებას დადებით პოლიტიკურ ფონს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. იცოდნენ რა, რომ **"შევარდნაძეს დანატრებული"** ხალხის გარკვეულ ნაწილს დააინტერესებდა მისი სატელევიზიო ინტერვიუ და სახლიდან აღარ გამოვიდოდა, ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ ქუჩის აქციების მონაწილეობის მსურველთა რიცხვი დიდად შეამცირა. სწორედ მაშინ მიმდინარეობდა ტელეგადაცემები მიხეილ სააკაშვილსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ მედვედევს შორის აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ სრულიად არაფრისმომცემ შეხვედრაზე, რაც, მიუხედავად ამისა, ხალხის დიდ ნაწილს მაინც აინტერესებდა და ქუჩის აქციების მონაწილეთა რიცხვი ამანაც შეამცირა, ხოლო ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი კი, რომელსაც, სამწუხაროდ, პოლიტიკურ ბატალიებზე მეტად თეატრალური სანახაობები აინტერესებს, საგანგებოდ მოწყობილ კონცერტზე წავიდა და ხელისუფლებამაც შვებით ამოისუნთქა. ოპოზიციას აშკარად ჩაუვარდა ქუჩის აქცია. ასე რომ, შევარდნაძის გამოსვლა ტელეარხ **"კავკასიაზე"** იყო არა მის მიერ ჩადენილ მრავალ დანაშაულთა აღიარება და შეცოდებების მონანიება, არამედ ხელისუფლების მიერ დაკვეთილი მორიგი პიარაქცია. მართალია, ედუარდ შევარდნაძე დღეს აღარ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ ხელისუფლება მას მაინც იყენებს საკუთარი მიზნების სასარგებლოდ. ახლა, ისიც დასადგენია: ტელეარხ **"კავკასიის"** მესვეურები შემთხვევით წამოეგენ ხელისუფლების მიერ გადაგდებულ ამ სატყუარას, თუ ისინიც სახელისუფლებო ხრიკების მონაწილეები არიან!

დღეს ედუარდ შევარდნაძე უშუალოდ ვედარ აკონტროლებს ქვეყანაში მიმდინარე **"შავ"** და **"თეთრ"** პროცესებს, მაგრამ, იგი მაინც რჩება არსებული ხელისუფლების **"ყავარჯნად"**, რომელიც, სამწუხაროდ, შევარდნაძის მიერ წლობით **"დახვეწილი"** სახელისუფლებო სიყალბის სრულყოფილი ტექნოლოგიების ერთგული რჩება.

ასე რომ, ედუარდ შევარდნაძე კვლავაც პროდუქტიული პოლიტიკური მოღვაწეა, ოღონდაც ჩრდილოვანი, ხელისუფლებას ჩამოცილებული, მაგრამ არსებული ხელისუფლებისათვის უაღრესად საჭირო და გამოსადეგი.

როგორც ქართველები ამბობენ, ურემი თუ შეშას ვერ მოიტანს, განა თვითონ შეშა არ არის?

მაგრამ მთელ ამ ტელეფარსში ყველაზე ამაზრზენი გახლდათ ის, რომ ტელეწამყვანი ინტერვიუერს აუღელვებლად უხსნიდა, თუ რამდენი ხმა უნდა **"მიეცა"** მას ოპოზიციისათვის, რათა მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს **"ვარდების რევოლუცია"** არ მოეხდინა და შევარდნაძეს ხელისუფლება შეენარჩუნებინა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სწორედ შევარდნაძემ დანერგა საქართველოში არჩევნების გაყალბების ტექნოლოგია და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი სისხლის სამართლის დამნაშავეებს შორის. დიდი ახსნა არ სჭირდება იმ ჭეშმარიტებას, რომ არჩევნების გაყალბება სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი გახლავთ, რადგან ხელისუფლებაში კვლავ რჩება ხალხისაგან საბოლოოდ მოძულებული კრიმინალური ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება კი ყველგან უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

როგორც დიდი მწერალი ბერნარდ შოუ ამბობდა: **"ძალაუფლება კი არ რყვნის ადამიანებს, არამედ ძალაუფლების მწყურვალებთან მოხვედრილი ბრიყვები რყვნიან ძალაუფლებას"**. არავის ისე არ მიესადაგება ეს სიტყვები, როგორც ედუარდ შევარდნაძეს და მის პოლიტიკურ მემკვიდრეებს!

ქართულმა საზოგადოებამ საბოლოოდ ირწმუნა, რომ პოლიტიკურ გვამად ქცეულ ედუარდ შევარდნაძეს ჯერ კიდევ ძალუძს არსებული ხელისუფლებისათვის სათანადო სამსახურის გაწევა. ამასაც სრულიად მარტივი ახსნა აქვს: ედუარდ შევარდნაძეს აწუხებს არა ხელისუფლებაში მის მიერ ეშმაკურად მოყვანილი ისტებლიშმენტისათვის პოლიტიკური ავტორიტეტის შენარჩუნება, არამედ საკუთარი ვეებერთელა ქონების ბედი, რომლის ხელშეუხებლობის გარანტიით დაუთმო მის მიერ გამოზრდილ-გამოკვებილ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს საქართველოს მართვის სადავეები.

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მტრობდნენ ხვარაზმელები, არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები, ლეკები, სხვა ჯურის მომხვდურნი, მაგრამ, ზოგიერთი შაჰ-აბასისნაირი გამონაკლისი მტარვალის გარდა, მათი შემოსევების მიზანი იყო საქართველოს სიმდიდრეთა ძარცვა-მიტაცება და არა მთელი ქვეყნის განადგურება ან გადაყლაპვა. თუ უკანასკნელი პერიოდის მოვლენებს და ქართველთა წინააღმდეგ გარე თუ შიდა მტრებისაგან გამართული დაუნდობელი ბრძოლის პერიპეტიებს მივადევნებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ დღეისათვის საქართველოს ჰყავს სამი დაუძინებელი მტერი: გავლენის სფეროების გადანაწილების ორგანიზატორი ამერიკული იმპერიალიზმი, სომხური თეოკრატია და ედუარდ შევარდნაძე.

სწორედ შევარდნაძის საქართველოსადმი მტრობასა და მის დანაშაულებრივ საქმიანობას მიეძღვნება წერილების ციკლი, რომელსაც გაზეთი **"ილორი"** მომდევნო ნომრებში გამოაქვეყნებს. შემდეგ კი ისინი თავის ადგილს დაიკავებენ ინტერნეტგამოცემებში.

ციტატა-შეხსენება

შემოერთების ტექნოლოგია ამერიკელების მიერ არის გამოგონილი, იგი მსოფლიოს ბევრ რეგიონშია აპრობირებული და ხორციელდება პრინციპით "მშვიდობა ტერიტორიის ნაცვლად". ეს ძალიან ადვილად კეთდება: საჭირო ადგილას ხდება კონფლიქტის ინსპირირება, შემდეგ კი ტერიტორიის სანაცვლოდ მშვიდობას სთავაზობენ. თუ მსხვერპლი წინააღმდეგობას უწევს და თავის ტერიტორიულ მთლიანობას იცავს, მაშინ საქმეში "დამცირებული ერის" "ძლიერი დამცველი" ერევა და საკითხი ადვილად წყდება. ამ პრინციპით ჩვენ ორი რეგიონი უკვე დავკარგეთ და კიდევ სამის ჯერი დგება... (სხვათა შორის, პრეზიდენტის მიერ "ნატო"-ს გაფართოების იდეის საჯარო მხარდაჭერა იმას მოწმობს, რომ აბხაზეთის დაბრუნების ამოცანა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ დღის წესრიგიდან მოხსნა, ვინაიდან უკვე ზედმეტია ფიქრი რუსეთის კეთილ ნებაზე ამ საკითხში).

(ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის თებერვალი)

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 11

ᲦᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲖᲔ

საქართველო შუა საუკუნეებში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა მაშინდელ მსოფლიოში. მისი სიძლიერე მხოლოდ ტერიტორიების გაზრდაში არ გამოიხატებოდა. პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძლავრი ქვეყანას მხოლოდ განათლებული და მაღალკულტურული ღირებულებების მქონე ადამიანები ქმნიან. სწორედ კულტურა და განათლება გახლდათ უმთავრესი პრიორიტეტი **"ოქროს ხანის"** საქართველოსი. ამაზე ნათლად მეტყველებს ქართულ სასულიერო-სამწიგნობრო ცენტრები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსდებოდა; რისი უმთავრესი მიზანიც მსოფლიოს კულტურულ განვითარებასთან უწყვეტი კავშირი, ქართულ და მსოფლიო კულტურათა ურთიერთობა, და განათლებისათვის ყველა უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის ქართულ ენაზე ქართული საზოგადოებისათვის მიწოდება გახლდათ.

შუა საუკუნეებში ასეთი ქართული კერა კვიპროსზეც არსებობდა. ეს გახლდათ ღალიის მონასტერი, რომელიც რამდენჯერმე იხსენიება ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში. ქართული საზოგადოებისათვის ეს მონასტერი დიდი ხნის მანძილზე სრულიად მიუწვდომელი რჩებოდა. არ ვიცოდით მისი ზუსტი ადგილმდებარეობა, გარეგნული სახე. ქართულ სამეცნიერო წრეებში და საერთოდ, საზოგადოებაში ინტერესი კვიპროსში არსებული ღალიას მონასტრის მიმართ მხოლოდ, XX საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა. იყო ცალკეული პიროვნებების უშედეგო მცდელობები მონასტრის ადგილმდებარეობის მიკვლევისა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მხოლოდ პრესაში საკითხის წამოწევით დასრულდა ეს ინიციატივა თურქოლოგ ოთარ გიგინეიშვილს ეკუთვნოდა, რომელმაც პირველმა სცადა მოეძებნა ქართული მონასტერი. გიგინეიშვილი ძებნას ალამინის შემოგარენში შეეცადა, ეს ტერიტორია იყო მითითებული სწორედ 1580 წელს პარიზში გამოცემული კვიპროსის აღწერაში, რომელიც ეკუთვნოდა კუნძულის ყოფილ მმართველს ეტიენ ლუზინიანს. წიგნის ავტორი აღწერდა იმას, რაც საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი. ეტიენ ლუზინიანი აღნიშნავდა, რომ ქართველებს კუნძულზე რამდენიმე მონასტერი ჰქონიათ, უმთავრესად ალამინის რაიონში (ლარნაკასთან ახლოს). ალამინის შემოგარენში ძებნამ უშედეგოდ ჩაიარა.

გადიოდა წლები და მონასტრის ადგილმდებარეობა კვლავ უცნობი რჩებოდა, სანამ 1981 წელს კვიპროსზე საგანგებოდ ჩასულმა ვ. ჯობაძემ, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურული ძეგლების შესწავლის საქმეში, კუნძულის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ხრისოხუს ყურის სანაპიროდან აღმოსავლეთით, 9 კმ-ის დაშორებით, სოფ. იალიას (Gialia) ზემოთ, 5 კმ-ში იმავე სახელწოდების ღელის მარჯვენა ნაპირზე მიაკვლია ფიჭვნარის ტყეში ჩაფლული მონასტრის ნანგრევებს. იმ მონასტერს, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში ღალია-ჟალიას სახელწოდებით იყო მოხსენიებული. მთავარი და უტყუარი არგუმენტი მონასტრის ქართველებისადმი კუთვნილებისა გახლდათ ის, რომ ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთ სვეტზე შემორჩენილი იყო ოთხ მწკრივად განლაგებული, ქართული ასომთავრულით შესრულებული სავედრებელი წარწერების ფრაგმენტები. ეს არ გახლდათ მომლოცველი ქართველების მიერ ამოკაწრული წარწერები, რომლებიც მათ შეიძლება ბერძნების კუთვნილი ეკლესიის კედლებზეც გაეკეთებინათ. მოზრდილი ასოებით გულდასმით გამოყვანილი წარწერები უთუოდ მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერების მიერ იყო შესრულებული. დაზიანების გამო წარწერების სრულად წაკითხვა ვერ მოხერხდა, მაგრამ დაქარაგმებულ სიტყვებში ვ. ჯობაძემ ამოიკითხა რამდენიმე სახელი სადაც მოხსენიებული უნდა ყოფილიყვნენ: **კე** (კვირიკე, კირილე თუ კონსტანტინე), **ნიკოლოზი** და **მათე. სავარაუდოდ აქ მოხსენიებული ნიკოლოზი წმინდა ნიკოლოზ დვალი უნდა იყოს, რომელიც აქ XIV საუკუნეში მოღვაწეობდა, რომელ პერიოდსაც, მეცნიერთა აზრით, განეკუთვნება ეს წარწერა.**

კვიპროსის ქართული მონასტრები რამდენჯერმეა მოხსენიებული, როგორც ქართულ ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარიც მოიხსენიებს კვიპროსს იმ მონასტრების რიგში რომელსაც ასე წყალობდა თამარი, **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"** იგივე ამბის გადმოცემისას აღნიშნავს, რომ თამარს სწორედ ღალიის მონასტრისათვის გაუღია დიდი შესაწირავი, ფსალმუნთა თარგმანის მინაწერი (XI-XII სს.) იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერებს შორის ინახება №85 ხელნაწერი **(„მარხვანი")**, რომელზეც ვხვდებით დავით გარეჯის უდაბნოს დოდოსრქის მონასტრის ბერის რომანოზის ანდერძს, დათარიღებულს XII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIII საუკუნის დასაწყისით. ამ წყაროდან ვიგებთ რომ ღალიას მონასტერში წიგნები ჩაჰქონდათ საქართველოდან. ფიქრობენ, რომ ამგვარი ურთიერთობა სისტემატიური და ორმხრივი იყო. უცნობი ავტორის თხზულება **„ნიკოლოზ დვალის წამება"**, ეტიენ ლუზინიანის 1580 წლის პარიზის გამოცემა, ვატიკანის არქივის XIV-XV სს-ის მასალების 1306 წლით დათარიღებული საბუთი, 1971 წელს ნიქოზიაში გამოსული იოანე პ. ციკლოპულუს წიგნი **„პაფოსის ეკლესიის ისტორია"**. უნდა აღინიშნოს, რომ პაფოსის ეკლესიის ისტორიაში ნათქვამია, რომ ღალიის ქართულ მონასტერს ჰქონდა იმდენივე შემოსავალი (სამი დუკატი), რაც **კიკოს** მონასტერს. **კიკოს** მონასტერი კი კველაზე მდიდარი მონასტერი იყო კვიპროსზე. ეს მიუთითებს ღალიის მონასტრის სიდიადეს და მის მნიშვნელობაზე ქართული სახელმწიფოსათვის, რომელიც ასე ზრუნავდა მონასტერზე.

რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას, მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: პავლე ინგოროყვა თვლიდა, რომ ტერმინი **„ღალია"** ქართული წარმოშობისაა **„ღელე"** – პატარა მდინარე ან **„ღალი"** – მდინარეა მეგრულ დიალექტზე. ო. გიგინეიშვილის აზრით კი უცხოურ წყაროებში მოხსენიბული **"იალია"** წარმოიქმნა ბერძნული სიტყვა გიალოსიდან, რაც ნიშნავს ზღვის ნაპირს, ხოლო ბგერა **"გ"** ქართულად გაისმა როგორც "**ღ**" და "**ჟ**". ვფიქრობ ეს მოსაზრება ნაკლებად მისაღებია, რადგან:

1) თვითონ მონასტერი საკმაოდ მოშორებულია ზღვას და ზღვის ნაპირს ნამდვილად არ წარმოადგენს.

2) არა მგონია ქართველ ბერებს, რომელთაც ეს მონასტერი დააარსეს, მისთვის ბერძნული დასახელება მიეცათ.

3) მონასტერთან ახლოს ჩამოედინება პატარა მდინარე **"ღელე"**, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მდინარეა მთელს კუნძულზე, სადაც სწორედ ამის გამო წყალი უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს. როგორც არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად გაირკვა, სწორედ ამ მდინარეზე ჰქონდა მონასტერს საკუთარი წისქვილი. შემთხვევით არც ამ პატარა მდინარის ხეობაა შერჩეული მონასტრის ასაშენებლად, წყალუხვი საქართველოდან წასული ბერები, ალბად, წყლის ფაქტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ უწყლო კვიპროსზე და ადვილი შესაძლებელია დასახელებაც ამ პატარა მდინარიდან – **ღელიდან** მოდიოდეს.

არქეოლოგიური თუ ზეპირსიტყვიერი მასალის მიხედვით ღალიის მონასტერი XVI ს-ში ჯერ კიდევ არსებობდა და მის დარბევა-გაუქმებას XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან ვარაუდობენ. XVI ს-ის შემდეგ, ევროპულ წყაროებში ცნობები კვიპროსში ქართველთა ეკლესია-მონასტრების შესახებ ქრება.

ღალიის მონასტრით ქართველთა კვლავ დაინტერესება უშუალოდ უკავშირდება კვიპროსზე ამჯამად მოღვაწე მამა ზაქარია ფერაძის სახელს (2000 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით ნიქოზიაში ჩავიდა დეკანოზი ზაქარია (ფერაძე), როგორც საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი კვიპროსსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში). მისი ინიციატივით და დაუღალავი ღვაწლის შედეგი იყო 2006 წლიდან ქართული ექსპედიციის მივლინება კვიპროსში, სწორედ ამ წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება მონასტრის არქეოლოგიური შესწავლა. შემდგომში იგეგემება ტაძრის ნანგრევევების კონსერვაცია.

2006-2009 წლებში მიმდინარე ექსპედიციების შედეგად გამოვლინდა, რომ ტაძარი არა მხოლოდ შიგნიდან, არამედ რაც ყველაზე საინტერესოა, გარედანაც ყოფილა მოხატული. გათხრებისას ჩნდებოდა ქართული ფრესკული წარწერები, რომლებშიც წმ. გიორგია მოხსენიებული. შემორჩენილია თეთრი ფერის კირის ნალესობაზე შავი ტუშით შესრულებული, ერთმანეთში ჩაწნული ულამაზესი ქართული ასოებით გამოყვანილი წარწერის ფრაგმენტი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XIV ს-ით თარიღდება. ნანგრევების გაწმენდის შემდეგად კარგად გამოჩნდა, რომ ღალიის მონასტრის მთავარი ტაძრის არქიტექტურა ქართულია, მშენებლობის ხელოვნება – კვიპროსული. ეკლესია სამ ბასიდიანია (ტრიკონქი) რაც უჩვეულოდ გამოიყურება კვიპროსისათვის, სამაგიეროდ ძალზე დამახასიათებელია ტაო-კლარჯეთის IX-X სს-ის საეკლესიო არქიტექტურისათვის. ქართული ასო-ნიშნები და მცირე წარწერები გვხვდება XV ს-ის მიწურულითა და XVI ს-ის დასაწყისით დათარიღებულ მოჭიქულ ჯამებზე, რაც უცილობელი დასტურია იმისა, რომ მონასტრის დანგრევამდე აქ ქართველი ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ. აღმოჩნდა 30 მონეტა, რომელთა უმრავლესობა ლუზიანელი მეფეებისაა XIV-XV სს-ს განეკუთვნება. გათხრების შდეგად დადგინდა, რომ მონასტერს საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა და დიდ მეურნეობასაც ეწეოდა.

როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიურო მასალა მიუთითებს იმაზე, რომ კვიპროსში კიდევ ერთი უდიდესი და უმძლავრესი სასულიერო-სამწიგნობრო ცენტრი, არსებობდა, რომელიც, დანარჩენ, ქვეყნის გარეთ არსებულ მონასტრებთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის კულტურასა და განათლების საქმეში.

ვფიქრობ, დღეს როგორც არასდროს ისე სჭირდება საქართველოს ძლიერი დიასპორის არსებობა. გლობალიზაციის და ტექნიციზმის ეპოქაში, სადაც კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა პრობლემას აღარ წარმოადგენს, ყველაზე ნაკლებდ ვაქცევთ ამას ყურადღებას. უახლეს ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ყველა საინფორმაციო ომი წაგებული გვაქვს, ჩვენს შესახებ მსოფლიოში არსებული ინფორმაცია კარგზე არაფერზე მეტყველებს. დღეს ჩვენ მხოლოდ წარსული დიდებით მოგვაქვს თავი და იმაზე არ ვფიქრდებით, რომ ეს წარსული სწორედ უდიდესი ღვაწლის და შრომის შედეგად შეიქმნა, რომელსაც სწორედ ჩვენნაირი ადამიანები და არა მითიური არსებები ქმნიდნენ. ჩვენ დღეს მხოლოდ სადღეგრძელოებში და სხვის დასანახად, ტელევიზიით გვიყვარს სამშობლოს სიყვარულის მტკიცება. გვავიწყდება ის, რომ ეს ის სიყვარულია რომელზეც არ ლაპარაკობენ, არამედ უჩუმრად იღვწიან.

ვფიქრობ ისეთი ქართული საგანმანათლებო კერების არსებობა, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს ჩვენს უდიდეს კულტურას და მართალ ინფორმაციას მიაწვდის მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის წარსულისა თუ თანამედროვეობის შესახებ, აუცილებელია. საქრთველოს ფარგლებს გარეთ, იმ პირობებში, როცა საქართველოდან მილიონზე მეტი ადამიანია წასული, ხუთმა პროცენტმა მაინც რომ იკისროს ეს საქმე, იქნებ მივაღწიოთ სულ მცირეს და აღარავის ეგონოს საქართველო რუსეთი, ან აღარ დაგვჭირდეს იმის მტკიცება, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოა, ან აღარ ეგონოთ ჯავახეთი სომხეთი და კიდევ რამდენი რამის ჩამოთვლა შეიძლება სამწუხაროდ.

იმედია ოდესმე შეძლებს საქართველო დაიბრუნოს ის ძველი დიდება, რაც ჩვენ ღალიის მონასტერში ვიხილეთ, ეს კი მხოლოდ ქვეყნის ნამდვილი სიყვარულით მისთვის თავდადებით, უშურველი ღვაწლით მიიღწევა.

p.s. მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ, ღალიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს ბატონ დავით მინდორაშვილს და ვუსურვებთ წარმატებებს ამ საშვილიშვილო საქმეში.

ნინო პატარიძე

17:Layout 1 5/31/2009 12:56 PM Page 12

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

მექსიკა-1986

მსოფლიოს მორიგი, 1986 წლის ჩემპიონატი გაიმართა მექსიკაში, და მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნით ადრე მექსიკაში მოხდა საშინელი მიწისძვრა, რომლის შედეგად 25.000 ადამიანი დაიღუპა. ჩემპიონატის ორგანიზებას მექსიკელებმა შესანიშნავად გაართვეს თავი. ისევე, როგორც ოთხი წლის წინ, მექსიკაშიც თავი მოიყარეს 24 ქვეყნის ნაკრებებმა, რომლებიც ექვს ჯგუფში გადანაწილდნენ. ამ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები პირდაპირ გადიოდნენ მერვედფინალში, რომელთაც ემატებოდათ ოთხი მესამეადგილოსანი, საუკეთესო მაჩვენებლებით. საკმაოდ კარგად დაიწყეს ჩემპიონატი საბჭოთა კავშირისა და დანიის ეროვნულმა ნაკრებებმა. რუსებმა პირველ შეხვედრაში **"გაანადგურეს"** უნგრელები ანგარიშით 6:0, რომელთაც მანამდე მოგებული ჰქონდათ მატჩი ბრაზილიელებთან ანგარიშით 3:0. დანიელებმა კი ქვეჯგუფში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს შოტლანდიელები, ურუგვაელები და გერმანელები, თუმცა, როგორც საბჭოთა კავშირმა, ისე დანიის ნაკრებებმა მერვედფინალში შეაჩერეს ძლიერი სვლა. ბელგიის ნაკრებმა სძლია საბჭოთა ნაკრებს ანგარიშით 4:3, ესპანელებმა კი 5:1 დაამარცხეს დანიელები. ვერაფრით გამოიჩინა თავი მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა იტალიამ. ჯგუფურ ეტაპზე ორი უშედეგო მატჩისა და მძიმე გამარჯვების შემდეგ იტალიელები მერვედფინალში 2;0 დამარცხდნენ ფრანგებთან. ბრაზილიელებმა სძლიეს პოლონელებს, არგენტინელებმა ურუგვაელებს, ინგლისმა დაამარცხა პარაგვაი, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კი მაროკო. საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია მეოთხედფინალურმა შეხვედრამ ბრაზილიასა და საფრანგეთს შორის, რომელიც ფრანგებმა პენალტების სერიით 4:3 მოიგეს. ასევე, პენალტების სერიით მოიპოვეს გამარჯვება ბელგიელებმა და გერმანელებმა, არგენტინელებმა კი 2:1 სძლიეს ინგლისის ნაკრებს. ამ მატჩში მარადონამ პირველი გოლი ხელით გაიტანა, რომელსაც მოგვიანებით მან ღმერთის ხელი უწოდა. მის მიერ გატანილი მეორე გოლი კი ნამდვილი შედევრი იყო – ბურთი თავისი საჯარიმო მოედნიდან წამოიღო, ნახევარი ინგლისის ნაკრები მოატყუა და გოლი გაიტანა. ნახევარფინალში არგენტინელებმა სძლიეს ბელგიელებს, გერმანელებმა კი ფრანგებს, ერთნაირი ანგარიშით 2:0. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ფრანგებს, რომელთაც ბელგიელები დაამარცხეს ანგარიშით 4:2.

ფინალური მატჩი შედგა მეხიკოში, **"აცტეკას"** სტადიონზე, რომელიც უაღრესად საინტერესოდ წარიმართა. მარადონას ჩაკეტვით გართულმა გერმანელებმა ისე გაუშვეს ორი გოლი, რომ თავადაც ვერ გაიგეს. მაგრამ, ფეხბურთის მართლაც **"გრანდმა"** გერმანელებმა მაინც გამოაჩინეს კლანჭები – მატჩის დამთავრებამდე 15 წუთში გერმანელებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ დამატებითი დრო უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა – მატჩის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე არგენტინელმა ფეხბურთელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს და მსოფლიო ჩემპიონის თასს დაეუფლნენ.

ფინალი

არგენტინა – გფრ 3:2 (1:0)
26.06.1986წ. მეხიკო, "აცტეკას" სტადიონი.
114.600 მაყურებელი.

მსაჯები: რ. არპი ფილიო (ბრაზილია), ე ფრედერიქსონი (შვედეთი), ბ. ულოა მორერა (კოსტა-რიკა).

არგენტინა: პუმპიდო, ბრაუნი, კუსიუფო, რუჯერი, ოლარტიკოეჩეა, ბატისტა, ენრიკე, ჰიუსტი, ბურუჩაგა (ტრობიანი 88), მარადონა (კაპიტანი), ვალდანო.

გფრ: შუმახერი, იაკობსი, ბერთოლდი, ბრემე, ბ. ფიორსტერი, ბრიგელი, მათეუსი, ედერი, მაგათი (ჰიონესი 60), რუმენიგე (კაპიტანი), ალოფსი (ფიოლერი 46).

გოლები: ბრაუნი (23), ვალდანო (55), რუმენიგე (74), ფიოლერი (80), ბურუჩაგა (87).

ბომბარდირები

გარი ლიონეკერი (ინგლისი) – 6 ბურთი;
კარეკა (ბრაზილია) – 5 ბურთი;
ემილიო ბუტრაგენიო (ესპანეთი) – 5 ბურთი;
დიეგო მარადონა (არგენტინა) – 5 ბურთი;

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

შუმახერი (გფრ), ჟოზემარი, ხულიო სეზარი (ორივე ბრაზილია), ფიორსტერი (გფრ), ამორო, ტიგანა (ორივე საფრანგეთი), მარადონა (არგენტინა), კულემანსი (ბელგია), კარეკა (ბრაზილია), ლინეკერი (ინგლისი), ვალდანო (არგენტინა).

იუმორი

ცოლი:
– ძვირფასო, მოდი, ფარდები ვიყიდოთ. ხომ შეიძლება, მეზობელი კორპუსიდან დამინახონ შიშველ მდგომარეობაში.
ქმარი:
– თუ დაგინახავენ, ისინი თვითონ იყიდიან ფარდებს.

* * *

– რომელი საათია? – ეკითხება სომეხი სეროჟა გამვლელს.
– თორმეტის ნახევარია!
– "ზნაჩიტ", ექვსი საათია!

* * *

ნარკომანი ეკითხება დედამისს:
– დედი, მე რომელ საათზე დავიბადე?
– დილის 4 საათზე, შვილო.
– აუუუ, გაგაღვიძე, დედი?

* * *

მიხომ "ზაპოროჟეცი" იყიდა.
– როგორ მოგწონს მანქანა? – ეკითხება მეზობელი.
– კარგია, ცოტა მხრებში რომ არ მიჭერდეს.

* * *

კახელს ცოლი აღვიძებს:
– ადე, შე მიწადასაყრელო, მელამ ქათმები წაიყვანა!
– რამდენი წაიყვანა, დედაკაცო?
– რამდენი და ათი ქათამი!
– "სუმკით" იყო მოსული, ეგ შობელძაღლი?!

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

აკიდება საპალნისა – კეთილია და მოგების ნიშანია.
ახალი რაიმე ნახო – უცხოეთში წახვალ და უცხო ხალხს ნახავ.
ახალი რაიმე ჩაიცვა – სიხარულისა და ბედნიერების ნიშანია.
ატმის ჭამა – ავადმყოფობასა და რაიმე შეჭირვებას მოასწავებს.
ამაღლებულ ადგილზე რომ დადიოდე – ამხანაგებში ამაღლდები.
ალმასის პოვნა – ნიშანია ქორწინებისა და ბედნიერი ცხოვრებისა.
არშინით რაიმეს გაზომვა – ნიშნავს შორს გზად წასვლას.
არშინი ნახო, ანუ იყიდო – სურვილის ასრულებას ნიშნავს.
აბრეშუმი ნახო, ანუ იყიდო – ნიშნავს სურვილის ასრულებას.
ავადმყოფი თუ შენი თავი ნახო – კარგია, **და თუ ნათესავი** – ავია.
ამბარი ნახო – არ არის კარგი, მაგრამ თუ პურით სავსეა, ძალიან მოგება იშოვო და საწადელი აგისრულდეს.
არწივი ნახო – უცხო ამბის ნიშანია, მხოლოდ ბოლო საკეთილოა.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან
გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

გაგნიძის პრეპარატი არჩენს

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, ტვინის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

კოორდინატები:

თელავი, კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, წინამძღვრიშვილის 120
ბათუმი, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).

ვაზის საოცარი ჯიში

ფირმა "გამწვანება" კრწანისი გთავაზობთ უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს, და რაც მთავარია, ყინვა და გვალვაგამძლე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში – სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლვა, რთველობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.
ტელ. 72-05-06.
მის. – თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.



გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

anaklia@web.de
e-mail:elisabetthal@yahoo.de

რეკლამის განთავსება
899-57-33-22
384-197